ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 242 (19983) ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝᲗ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ, ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲡ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ,

ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲕᲬᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲙᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲡ

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲢᲔᲮ ᲔᲢᲐᲞᲖᲔ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

19 **ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ** 14 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში დაიწყო ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ აბახანგებს **ა. ნ. იაკოვლევს, ვ. პ. ბაკოროვს, ე. ა. შევარდნაძეს, ბ. მ. ჩებრიკოვს, დ. ტ. იაზოვს, ვ. ვ. ფირიუკოვას, ა. თ. დობროვოლინს.**

სხდომა მიმდინარეობდა პალატის საბჭოს თავმჯდომარის **ა. ე. ტორსუნოვის** თავმჯდომარეობით.

შეკრებილმა ამხანაგებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ბოლო სესიის შემდეგ გარდაცვლილი დეპუტატების ხსოვნას.

ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების თანამოხსენება — სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმა და 1987 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა, სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1986 წლის ბიუჯეტის შესრულება — გააკეთა პალატის საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ნ. ნ. მასლენნიკოვმა.** მუდმივმა კომისიებმა, თქვა მან, წინასწარ განიხილეს სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი, გაანალიზეს წლევანდელ საგეგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობა, სსრ კავშირის 1986 წლის ბიუჯეტის შესრულება.

ორატორმა აღნიშნა, რომ კომისიებმა გამოძებნეს იმის შესაძლებლობა, რომ გაიზარდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და რეალიზაცია საცალო ფასებით 159,4 მილიონი მანეთი საერთო თანხით, და შემოქვთ წინადადება დამტკიცდეს 1988 წლის გეგმა ამ შესწორებათა გათვალისწინებით.

კომისიების სახელით ორატორმა შემოიტანა წინადადება გაითვალისწინონ აღნიშნული შესწორებები და დამტკიცონ სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის შემოსავალი საერთო შეადგენს 443.645.321 მანეთს მანეთს. შეტანილია აგრეთვე წინადადება დამტკიცდეს 1986 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

შემდეგ ორატორი შეეხო ზოგიერთ საკითხს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საგეგმო დავალებათა წარმატებული შესრულებისათვის.

გეგმის წინასწარი განხილვის დროს მთავარი ყურადღება დაეთმო მრეწველობის და, უწინარეს ყოვლისა, მანქანათმშენებლო კომპლექსის განვითარების პრობლემებთან ანალიზს. აღინიშნა, თუ რა კონკრეტული მიმართულებებით უნდა გაძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა საქონლისა და მომსახურების კომპლექსური პროგრამის შესასრულებლად. სერიოზული ყურადღება დაეთმო მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების მდგომარეობის ანალიზს.

გარდაქმნის პარტიულ კურსს, თქვა კამათის განსხილვის უკრაინის კომპარტიის ვინიცის სოლეკომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ლ. ლ. კრივორუჩკომ,** ყოველნაირად უშერენ მხარს ის იზიარებენ ჩვენი ოლქის მშრომელები. უკვე ახლა ჩვენში მეტად იგრძნობა ორგანიზებულობა, წესრიგი, დისციპლინა. მაგრამ, აღნიშნა ორატორმა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველგან არ დამყარებულა სათანადო წესრიგი. არის ინერტულობა, უინიციატივობა, საჯაროობის შიში, ყოველივე ახლის შიში. ბევრ პარტიულ ორგანიზაციას, სახალხო დეპუტატთა საბჭოს აკლია პოლიტიკური სიმწყვავე ძველი, ყველგასული სტერეოტიპ ე ბ ი ს მსვრევაში. დავძლიოთ ეს — აი, რა არის დღევანდელობის ამოცანა.

ხვალ ჩვენს შვილებს მოუწევთ გაფარმანთ და განავითარონ გარდაქმნის პროცესი, თქვა მოგილევის ოლქის ბელინიჩის №1 საშუალო სკოლის მასწავლებელმა დეპუტატმა **ე. ი. ლობაჩოვამ,** ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპი შესაძლებლობას გვაძლევს უფრო მალე გადავჭრათ სკოლის მატერიალური ბაზის გაძლიერების პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ მწვავედ დგას. დეპუტატმა აღნიშნა, რომ სკოლის რეფორმის პირობებში მუშაობის მანძილზე არ მომხდარა საგრძნობი ძვრები განათლების დაწესებულებათა მშენებლობაში.

სკოლის ცხოვრების საერთო-ტორტ საკითხთა გადაწყვეტაში ნიშანდეგნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სსრ კავშირის საბაჭოთა საწარმოებმა. ორატორმა გამოთქვა სინანული, რომ ასეთი საწარმოს ახალი დეპუტატების შემუშავება ჭიანურდება. სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა დეპუტატმა **ვ. ა. დინკოვმა** აღნიშნა, რომ ნავთობის მრეწველობამ გაისტუმრა ძველი დავალიანება და დღეს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით მუშაობს.

ამასთანავე, თქვა ორატორმა, ჯერ კიდევ ძალზე ბევრი მუშაობა მოგვიწევს, რათა დავძლიოთ მთლიანად დარგში და ცალკეულ რეგიონებში დაგროვილი ნაკლოვანებანი.

ქვეყნის გეგმისა და ბიუჯეტის განსახილველი პროექტები მიზნად ისახავს ძლიერი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, შეესაბამება ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში გარდაქმნის ამოცანებს, თქვა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ბ. კ. პუგამ.** მან შემოიტანა წინადადება მიიღონ ორივე დოკუმენტი.

დეპუტატმა ილაპარაკა ეკონომიკის სრულყოფის ძირეულ პრობლემებზე. ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ ამ მუშაობაში სამეცნიერო ძალებმა. გამოსვლაში დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური აღზრდის სრულყოფას, დასავლეთის რეაქციული იმპერიალისტური წრეების იდეოლოგიური დივერსიების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

გარდაქმნის პროცესში მიღწეულ კონკრეტულ შედეგებზე ილაპარაკა ყაზახეთის სსრ პაველოდარის ოლქის „ეკიბასტუზქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანების „ბოგატირის“ ჭრილის ექსკავატორის მემანქანემ დეპუტატმა **ა. — რ. ა. შარიფოვმა.** მან თქვა, რომ მრავალათასიანმა კოლექტივმა, რომელიც ღირსეულად ეგებება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს, მიმდინარე წლის ცხრა თვეში გეგმის გადამეტებით ამოიღო 770 ათასი ტონა ქვანახშირი. საწარმოო წარმატებები წასიკეთო გავლენას ახდენს მაღაროელთა ცხოვრებაზე. გაიზარდა ხელფასი, გაცილებით მეტი შენდება საცხოვრებელი ბინები.

დეპუტატმა განსაკუთრებული შემფოთებით ილაპარაკა ბუნების დაცვა-შენახვის, ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი ყურადღების გაძლიერების აუცილებ ლ ო ბ ი ს შესახებ.

ეკოლოგიის, გარემოს დაცვის პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ლიტვის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. მ. მალდონისმა.** საჭიროა მომწიფებული სიტუაციების გააზრებული პროფილაქტიკა, ეკოლოგიური პირობების კონტროლი, თქვა დეპუტატმა, ეს შესაძლებლობას მოგვცემს სამოქმედოდ შემოვიღოთ ტექნიკურად რთული ბუნებაგარდამქმნელი პროექტების სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა. ასეთი სისტემა კონსტიტუციური წესით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი შესაბამისი უფლება-მოვალეობებით.

რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ეტაპზე, თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ვ. ი. ალავიძემ,** მოჩანს გაანალიზების აღმონაცენი, ჯანსაღდება მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. თბილისის მრავალი კოლექტივი, რომლებიც თავიანთ საქმეებს უსატყვისებენ ქვეყნის შრომითი წინსვლის ნაბიჯს, უპატაკებენ სამშობლოს დიდი ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებას.

ამასთანავე მთელი რიგი თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია გადამწყვეტი გარდატეხისათვის. ორატორმა დეპუტატთა ყურადღება მიაპყრო საქართველოს დედაქალაქის ცხოველქმედ ი ს უზრუნველყოფის პრობლემებს. საჭიროა, თქვა მან, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამშენის, სხვა დაინტერესებული საკავშირო ორგანოების ქმედითი ჩარევა.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში 17 საათზე დაიწყო კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვორონცოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, გ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ი. თ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომა მიმდინარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის **ლ. ნ. ტოლკუნოვის** თავმჯდომარეობით.

წუთიერი დუმილით პატივი სცეს მეშვიდე სესიის შემდეგ გარდაცვლილი დეპუტატის ს. ბ. ეანკაჯიევის ხსოვნას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ. ᲡᲐᲐᲥᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ორატორი შეეხო აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებს.

კომისიებმა გამოავლინეს შესაძლებლობა გაზარდონ სახალხო მოხმარების მთელ რიგ სახეობათა საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა საცალო ფასებით 159,4 მილიონი მანეთი საერთო თანხით. ამასთან, აგრეთვე შემოსავლის ზოგიერთი წყაროს მიხედვით გაანგარიშებათა დაზუსტებასთან დაკავშირებ ი თ მათ წინადადება წამოაყენეს გაიზარდოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავა ლ ი 153,6 მილიონი მანეთით.

ორატორმა კომისიების სახელით შეიტანა წინადადება გაითვალისწინონ ეს შესწორებანი და დამტკიცონ სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი.

პრაქტიკულად, თქვა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **ლ. ა. გორშკოვმა,** რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა საგრძნობლად მოუმატა მუშაობას. მაგრამ საქმიანობის საბოლოო შედეგებზე კვლავინდებურად ახდენს გავლენას წარმოებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი მთლიანი მაჩვენებლების ორიენტაცია. რესპუბლიკაში ბევრი საამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმო ჯერ კიდევ ზარალიანად მუშაობს, არღვევს მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ორატორმა გამოთქვა მოსაზრებები რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის განვითარების საკითხებროტტ პრობლემებთან დაკავშირებით.

1988 წლის სახელმწიფო გეგმის მთავარი განსასხვავებული თავისებურება, თქვა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ა. მასლომმა,** ის არის, რომ გეგმაში მკაფიოდ ჩანს მსგავსი დოკუმენტების შემუშავების ჩვეული, ფეხმოკიდებული პრაქტიკისაგან განდგომა. უკრაინის რესპუბლიკის საბელმწიფო გეგმის შემუშავებისას, განაგრძო ორატორმა, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობდით, რომ მომავალი წელი პირველი წელია, როდესაც შრომითი კოლექტივები მოქმედებას დაიწყებენ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) ახალი კანონის პირობებში.

გეგმის პროექტით ნაგულისხმევი სოციალური სფერო განვითარების, მოსკოველთა ცხოვრებისა და შრომის განუხრელი გაუჯობესების პრიორიტეტი — აი, წარმოების დინამიკური ზრდის, დედაქალაქის ეკონომიკის აღმავლობის საფუძველი, აღნიშნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა დეპუტატმა **ი. ა. ბელიაკოვმა.**

დედაქალაქის განვითარების გეგმის პროექტი, თქვა დეპუტატმა, დეტალურად განვიხილეთ მოსკოველთა უფართოესი მონაწილეობით.

ლენინგრადის სოციალური განვითარების პრობლემათა გადაჭრაში ადგილობრივი საბჭოების როლის აქტივიზაციის შესახებ ილაპარაკა „კიროვის ქარხნის“ საწარმოო გაერთიანების ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირმა დეპუტატმა **ი. ვ. ზახაროვმა.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქალაქო მეურნეობის ამოცანების გადაწყვეტაში აქტიურად ამამენ საწარმო-ორგანიზაციებს მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

სსრ კავშირის გზათა მინისტრმა დეპუტატმა **ნ. ს. კონარევმა** მხარი დაუჭირა სახელმწიფო გეგმის ძირითად მახვენებლებს და განაცხადა, რომ ყველაფერი გაკეთდება, რათა იგი უთუოდ შესრულდეს. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობასთან დაკავშირებული ყველა პოზიციის მიხედვით.

ამასთანავე დეპუტატმა თქვა, რომ არ არის მთლად კმაყოფილი გეგმის ყველა მაჩვენებლით. ორატორმა მთლიანად გაიზიარა კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც მისი სამინისტროს მიმართ გამოითქვა სესიაზე.

ტაჯიკეთის სსრ დუშანბეს № 8 საქალაქო პოლიკლინიკის ქალთა კონსულტაციის გამგემ დეპუტატმა **ი. ხ. ახმედოვამ** აღნიშნა, რომ ტაჯიკეთში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარება მოწმობს: სრული უკუგებით არ გამოიყენება ყველა შესაძლებლობა, რომლებიც ამ საქმეში აქვს რესპუბლიკას. შეშფოთებით იყო გამსჭვალული დეპუტატის გამოსვლის ის ნაწილი, რომელშიც მან ილაპარაკა იმაზე, რომ აკლიათ სამკურნალო დაწესებულებანი, რომ ნელა და უხარისხოდ შენდება, არ ჰყოფნით თანამედროვე სამკურნალო და დიაგნოსტიკური მოწყობილობანი.

ახალი სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანობაზე ილაპარაკა ბელორუსიის კომპარტიის გროდნოს საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ლ. გ. კლეცკოვმა,** რომელმაც მოიყვანა ოლქის მაგალითი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორედ სამეურნეო-ანგარიშიან კოლექტივებს სდევს ყველაზე თვალსაჩინო, სტაბილური წარმატებანი. დასახულია ამოცანა უახლოეს ხანს გადაიყვანონ რეგიონის კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე.

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **გ. ხ. კადიროვმა** აღნიშნა ქვეყნის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის დამახასიათებელი თავისებურებანი და ილაპარაკა უზბეკეთის ეროვნული ეკონომიკური კომპლექსის პრობლემებზე.

მაგრამ დეპუტატის გამოსვლა სულაც არ წაადგება წარმატებათა ანგარიშს. მაგალითად, მან აღიარა, რომ რესპუბლიკაში ჯერჯერობით ფაქიზ-ინტენსიურ შენებლობის განვითარების საქმე. სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს მრეწველობის სტრუქტურა.

დეპუტატის აზრით, ქვეყნის საგეგმო ორგანოებს მეტი აქტიურობა მართებთ საინიციოდ, რომ უფრო სწრაფად შეიმუშაონ და დამტკიცონ სოციალური ნორმატივები.

* * *

ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲗ, ცხოვრების ყველა სფეროში შექმნილ სიტუაციათა ობიექტური და ყოველმხრივი შეფასებით, გარდაქმნის მთავარი ამოცანების გადაწყვეტაში კონსტრუქციულობით გამოირჩეოდა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მუშაობა. ღრმად და დაინტერესებით განიხილეს რა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლედის მესამე წლის გეგმა და ბიუჯეტი, ხალხს სრულფასოვანმა წარმომადგენლებმა მათ მიანიჭეს კანონის ძალა, რომელიც თითოეულ აცალდებულებს იმოქმედოს მტკიცედ, გბედულად, შეუპოვრად განახორციელოს დასახული.

პარტიის მიერ შემუშავებული დაჩქარების სტრატეგიის პრაქტიკული უზრუნველყოფა, ხაზგასმით აღინიშნა სესიაზე, შეესაბამება ხალხის ყველაზე საარსებო ინტერესებს, ძლიერი სოციალური პოლიტიკის მიზანდასახულობას. და უწინარესად ხალხზე დამოკიდებული იმ უდიდესი ამოცანების, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის ამანდელ გარდამტეხ ეტაპზე წყდება.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ 10 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში გაიხსნა კავშირის საბჭოს მერვე სხდომა.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს: **მ. ს. გორბაჩოვს, ბ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვორონცოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ი. თ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომა მიმდინარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის **ლ. ნ. ტოლკუნოვის** თავმჯდომარეობით.

ტრიბუნაზეა ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. ა. ნაზარბაევი.** რესპუბლიკაში, აღნიშნა მან, მთავარი ყურადღება ეთმობა სოციალური სფეროს პრიორიტეტულ განვითარებას, სადაც პრობლემები დიდხანს უფრო სწრაფად მატულობდა, ვიდრე წყდებოდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროზე რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის მდგომარეობის განხილვა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, მიზნად გვისახავს ვეძებოთ ახალი არასტანდარტული მიდგომები, ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარების ფორმები და მეთოდები. დღეს ყოველ ღონეს ვიმარჯვებთ, რათა გავაუმჯობესოთ ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, იდეურ-ზნეობრივი, შრომითი აღზრდა, უზრუნველყოთ საბჭოთა ყაზახეთში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების შემოქმედებითი შრომის, სულიერი ზრდის პირობები.

ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დაასახელა ღონისძიებანი, რომლებიც რეგიონში ხორციელდება მართვის სტრუქტურაში ზედმეტობისა და ბიუროკრატიის აღმოფხვრისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის გზებზე ილაპარაკა ვოროშილოვის ოლქის ბუტურლინოვკის რაიონის კორიდის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ფ. ზაბოლოტნიმ.** მან თქვა: წარმატებული მუშაობის მნიშვნელოვანი სტიმული გახდა გადაწყვეტილება, რომ მთელი ზეგეგმიური პროდუქცია მოხმარდეს ადგილობრივ მომარაგებას. ამან მნიშვნელოვანწილად გააქტიურა რეზერვების ძიება სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდისათვის.

ახლა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის, ეამგეობა მთელი მეცადინეობა უწინარესად ხმარდება ადამიანებთან მუშაობას, საქმის კეთილსინდისიერი შესრულებისთვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას, აღნიშნა დეპუტატმა. უამისოდ ვერ შეეძლებდით არა ფირმით, არამედ თავისი ეკონომიკური დანიშნულებით დაგვენერგა ყველა ქვეგანაყოფში ბრიგადული იჯარა და სრული სამეურნეო ანგარიში, დანახარჯების კონტროლის საჩეკო სისტემა.

სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის, დამოუკიდებლობის განვითარების შესახებ ილაპარაკა სესიის ტრიბუნიდან სკკპ ჩუვაშეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ი. პ. პროკოპიევმა.** მან თქვა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას მოსახლეობის სახსრებით. ინდივიდუალური ბინების ხვედრითი წილი ჩუვაშეთის სასოფლო სახინაო ფონდში 88 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ორატორის აზრით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახმომარაგებამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებისას უფრო სრულად უნდა გათვალისწინონ რეგიონის სპეციფიკა და შეაძლებლობანი, საშენი მასალების ფონდები ინდივიდუალურ მშენებლებს გამოეყოთ სბინაო მშენებლობის მოცულობების შესაბამისად.

იმაზე, თუ როგორ სრულდება სოციალური პროგრამა ოლქის საწარმოებსა და მეურნეობებში, ილაპარაკა სარატოვის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა დეპუტატმა **გ. ვ. იუდანოვმა.**

თუმცა ახლა უკვე აღიარებულია ჩარხმშენებლობის პრიორიტეტულობა, მაგრამ ადგილებზე ეს ჯერ არ გვიგრძვნია, თქვა მან. ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს სპირდება რეალური პრიორიტეტი თუნდაც რამდენიმე წლით, რომ მიაღწიოს მოწინავე დარგების დონეს, თქვა დეპუტატმა.

თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან და საწარმოს შესახებ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით საჭიროა აგრეთვე გათანაბრდეს ფუნქციონირების რეალურ პირობებთან, სოციალური უზრუნველყოფის მიღწეული დონესთან დაკავშირებული ეკონომიკური ნორმატივები. ამისათვის თითოეულმა საწარმომ, დეპუტატის აზრით, უნდა გაიაროს ობიექტური ატესტაცია.

კრასნოდარის მხარის ფსების №2 სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა დეპუტატმა **ნ. ნ. სიტნიკმა** ილაპარაკა იმაზე, თუ რა კეთდება მათთან მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე კოლექტივის გადასვლისათვის მზადებასთან დაკავშირებით. იგი შეეხო პროლემებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს დასახული გაფართოების გამო. მათ შორის არის კვალიფიციური კადრების მომზადება და დამკვიდრება, საამქროების აღჭურვა დიდმწარმოებლური საბპოური ნოწყობილობით, ბინების მშენებლობა.

შორეული აღმოსავლეთის მშრომელებმა მომავალი წლიდან უნდა დაიწყონ საწარმოო ძალების განვითარების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, რომელიც შემუშავდა პარტიის ინიციატივით ამ რეგიონისა და იმიერბაიკალისთვის 2000 წლამდე პერიოდისათვის, თქვა სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ა. კ. ჩორნიმ.** მან გააანალიზა ამოცანები, რომლებიც მხარის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დგას იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რათა მაქსიმალურად დაჩქარდეს მისი სოციალურ-ეკონომიკური განკითარება.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებს მეცხოველეთა თავდადებულ შრომას. ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შემდეგ თქვენი მეცადინეობით, ენერგიული მუშაობით უზრუნველყოფილია ქვეყნისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების ყოველწლიური ზრდა და ფრიად საჭიროა, რომ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს არა მარტო შევინარჩუნოთ მიღწეული, არამედ ვამრავლოთ კიდეც შედეგები. საბჭოთა ადამიანებს მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ხორცი, რძე, კვერცხი. ეს იქნება თქვენი წვლილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ დასახული იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომ მოკლე ვადებში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ სასურსათო მომარაგება.

სავსებით ცხადია, რომ ამ მიზნის მიღწევისათვის მეცხოველეობის ბრიგადის, ფერმის თითოეულმა მუშაკმა, სპეციალისტმა, მეურნეობის ხელმძღვანელმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური ინიციატივა და სიმტკიცე, იშრომოს ძალ-ღონის სრული დაძაბვით. ახლა განსაკუთრებით საჭიროა მუშაობას უმატონ იმ მეურნეობათა მეცხოველეობის ქვეგანაყოფებმა, სადაც უკანასკნელი თვეების მანძილზე დაუშვეს ფერმების პროდუქტიულობის შემცირება.

მომავალი გამოზამთრება ადვილი არ იქნება, ეს უნდა ითქვას სრული პირდაპირობითა და გულახდილობით. ამაზე უნდა აიღონ ორიენტირი მუშაობაში პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა, აგროსამრეწველო ორგანოებმა, უწინარეს ყოვლისა იმ მეურნეობებსა და რაიონებში, სადაც ფერმებში საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო ხარისხის უხეში და წვნიანი საკვებით. სახელმწიფო უწევს და აკლავაც გაუწევს საჭირო დახმარებას სტიქიით დაზარალებულ მეურნეობებს.

ვერ დავეთანხმებით იმას, რომ ბევრი ფერმა არსებითად მზად არ არის ზამთრის პირობებში სამუშაოდ, არ მოუგვარებიათ საკვების დამზადება, და, რაც მთავარია, არ შეუქმნიათ დიდნაყოფიერი მუშაობის საჭირო პირობები. თუმცა გართულებულია მინდვრის სამუშაოების დამთავრება, მაგრამ საკვების დამზადებას არ უნდა მოვაკლოთ ყურადღება ყველაფერი, რაც საფ

გარდაქმნის გარდამტეხ ეტაპზე

(დასასრული)

დეპუტატის აზრით, უკეთესობისაკენ არსებითი ცვლილებებისათვის საჭიროა მეტი დინტერესება, ვიდრე წინათ, ამ მუშაობაში მთელი რიგი საკავშირო სამინისტროებისა და ცენტრალური ეკონომიკური უწყებების მონაწილეობა. მან აღნიშნა, კერძოდ, რომ ამ ბოლო დროს ქვეითდება მიწოდების დისციპლინა. ეს უარყოფით გავლენას ახდენს მთელი რიგი შრომითი კოლექტივების მუშაობაზე, მათ შორის მათს ფინანსურ მდგომარეობაზეც.

გაანალიზა რა მომავალი წლისათვის ქვეყნის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, დეპუტატმა წუხილი გამოთქვა, რომ მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს მათში შეაქვთ მაჩვენებლები, რომლებიც მთლიანად არ შეესაბამება შორეული აღმოსავლეთისა და იმიერბაიკალის საწარმოო ძალების განვითარების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ამოცანებს.

სესიაზე გამოსვლისას კურსკის ოლქის მიხაილოვსკის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის შოფერმა დეპუტატმა **ა. მ. ჩაპლიგინმა** თქვა, რომ მუშები ცდილობენ უფრო სრულად გამოიყენონ შრომითი კოლექტივების შესახებ კანონით ნაგულისხმევი შესაძლებლობანი. ჩემი ამხანაგები, რომლებიც საწარმოს ნამდვილი ბატონ-პატრონები არიან, უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს, იჩენენ მეტ ინიციატივას, გაძლიერეს ბრძოლა დისციპლინის დამრღვევების, ხელმრუდეების, სპირტიანი სასმელების მოყვარულთა წინააღმდეგ.

შეეხო რა მუშური პრესტიჟის სახელს, მომიჯნავეთა თანამოქმედებას, დეპუტატმა თხოვნით მიმართა ბელორუსიის ავტომობილმშენებლებს გაუმჯობესონ თვითსაცლელების ხარისხი, არ დაალატონ სხვა კოლექტივები.

საგულისხმო ფაქტი: კუზბასის მეშახტეებმა, რომლებმაც დაძლიეს უძრაობა, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს მილიონობით ტონა ქვანახშირი. კემეროვოს საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ნ. პოლეცკოვმა** თავის გამოსვლაში ეს ფაქტი მოიყვანა ინდუსტრიულ მხარეში პოზიტიურ ცვლილებათა ჩამოთვლისას და განსაკუთრებული უურადღება მიაპყრო იმის ანალიზს, თუ რატომ არ მოხდა მაინც რეგიონში ძირეული ცვლილებები.

დეპუტატმა პრობლემათა შორის უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებით აღნიშნა ქვანახშირის მოპოვებისა და გადამუშავების საკითხი. უახლოეს დროში სულ ცოტა 200 მილიონი ტონა ქვანახშირი უნდა მოიპოვონ წელიწადში, უდიდესი მუშაობა გასწიონ მოქმედი შახტების, ჭრილების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, ახალი შახტების მშენებლობისათვის. ყველა რთული ამოცანის დაგწყვეტა მოითხოვს, რომ გაღრმავდეს ტერიტორიული მიდგომა მართვის დაგეგმვის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და ცენტრალური უწყებების ჭეიდრო თანამოქმედებისადმი, ძირეული ცვლილებები მოხდეს სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ეროვნებათა საბჭოში

ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა გაიხსნა 13 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ვ. პ. ნიკონოვს, ვ. მ. ჩებრიკოვს, ე. ა. შევარდნაძეს, დ. ტ. იაზოვს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს.**

სხდომა მიმდინარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ე. ვოსის** თავმჯდომარეობით.

სოფლის სოციალური განვითარების პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ალტაის მხარის სლავგოროდის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ფ. ფ. შნაიდერმა.** თავისი მეურნეობის გამოცდილებით მან დამაჯერებლად ცხადყო, რომ სოფლის მშრომელთა ყოფისათვის ნიადგ ზრუნვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს წარმოების საქმეებს, გაზრდის წვლილს სასურსათო პრობლემის გადაჭრაში.

შეეხო რა სოფლად საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას, ორატორმა წამოაყენა წინადადება განიხილონ მეურნეობებში საშენ მასალათა მიწოდების ზრდის საკითხი. მისი აზრით, ძირეულად უნდა გადაისინჯოს სოფლის მთელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

სესიის განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტები, თქვა აზერბაიჯანის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ლ. ხ. რასულოვამ,** შეესაბამება პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას, განამტკიცებს დადებითს ტენდენციებს, გამოხატავს ჩვენი ხალხის ინტერესებს და შეესატყვისება ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

ორატორი შეეხო კარდინალური საკითხების გადაწყვეტაზე პროფკავშირული გავლენის პრობლემებს. სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებ ი უკავშირდება არაფორმალური გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებას. მაგრამ მუშებისა და მოსამსახურეების ეკონომიკურ უფლებათა შელახვის ფაქტები, დეპუტატის აზრით, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვის შედეგი კი არ არის, არამედ ამ მეთოდების შესაძლებლობათა არასწორი რეალიზაციის ბრალია.

ორატორმა დეპუტატების უურადღება მიაპყრო მომხმარებლებთან ხელშეკრულებათა დროული გაფორმების საკითხს.

სახელმწიფო „საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონი, რომელიც მალე შევა ძალაში, შრომითს კოლექტივებს შესაძლებლობას აძლევს ახლებურად იმუშაონ, თქვა კიშინიოვის № 2 სახლთსაშენებელი კომბინატის სამშენებლო სამმართველოს კომპლექსურ ბრიგადის ბრიგადირმა **ფ. ე. ცურკანუმ.** წლევანდელი წლის სოციალისტური ვალდებულებები ვადამდე შესრულდება. ამ წარმატებაში არის ჩვენი ბრიგადის წვლილიც — ხუთწლედის ორი წლის გეგმა მან სესიის მუშაობის დღეებში შეასრულა.

მაგრამ უკეთესობისაკენ შემობრუნება, თქვა შემდეგ ორატორმა, ძირითადად ორგანიზაციული ღონისძიებებით აიხსნება, ხოლო გარდაქმნის სიღრმისეული რეზერვები მეტწილად ჯერ აუმოქმედებელია. მაგალითად, არსებითი ძვრები არ მომხდარა ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა დაგეგმვა. კვლავინდებურად ირღვევა მშენებელთათვის საგეგმო დავალებების გაცემის ვადები.

ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ა. მ. მასალიევმა** დამსწრეთ შეახსენა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შუა აზიის რესპუბლიკებში აგროსამრეწველო კომპლექსის ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალის არადამაკმაყოფილებელი გამოყენების შესახებ დადგენილებაში აღნიშნა მიწების კომპლექსურ ათვისებაში არსებული დიდი ხარვეზები და მოითხოვა ამ საქმეში საჭირო წესრიგის დამყარება. ახლა ყირგიზეთში მუშაობა ამ მიმართულებით წარმოებს. მაგრამ, თქვა ორატორმა, ჩვენთვის გაუგებარია სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს პოზიცია, რომელმაც შეამცირა ხუთწლიანი გეგმით დასახული რვასუბლიკის სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქციის კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები. ამის შედეგად ოლქებში იძულებული ყენებიან დაკონსერვონ მთელი რიგი მშენებარე საწარმოო ბაზები.

ორატორმა გააკრიტიკა ის საკავშირო სამინისტროები, რომელთა ყირგიზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები ძალზე ცოტა სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ.

განსაკუთრებული კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ახლა სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებას საგრძნობლად მეტი სახსრები და რესურსები მოხმარდება, ვიდრე წინა წელს, ხაზი გაუსვა სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ი. კამშალოვმა.** დასახული ამოცანების შესასრულებლად საჭიროა პრინციპულად ახალი მიდგომა სოციალისტური კულტურის, მათ შორის კინემატოგრაფიის განვითარების საკითხებისადმი.

დაწვრილებით დაახასიათა რა დარგში არსებული მდგომარეობა, დეპუტატმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ისეთი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მთელი კომპლექსი, რომლებიც კინემატოგრაფიაში ეკონომიკური და ორგანიზაციული კავშირურთიერთობის პრინციპულ ცვლილებებს ითვალისწინებს. დეპუტატის აზრით, შემოღებულ უნდა იქნეს ფილმების წარმოებისა და გაქირავების ორგანიზაციის დაფინანსების ახალი სისტემა, რომელიც ფორმალურად კი არა, საქმით დააინტერესებდა ყველას საბოლოო შედეგით. ჩვენი მიზანია, განაცხადა ორატორმა, შევქმნათ ისეთი სტრუქტურა, რომლის დროსაც კინემატოგრაფს შეეძლებოდა არა მარტო შემოსავლის მიღება, არამედ ქვეყნის ბიუჯეტის შევსებაც და მაქსიმალური სოციალური უკუგების მოცემაც.

წამოაყენა რა წინადადება ქვეყნის გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ კანონების მიღების თაობაზე, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ფ. ტ. სარქისიანი** დაწვრილებით შეეხო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. მან კონკრეტული მაგალითებით წაუყენა სეროიზული პრეტენზიები სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროებს, რომლებიც, მისი შეფასებით, საკმაოდ აქტიურად არ ეწევიან სომხეთში განლაგებული თავიანთი საწარმოების ტექნიკურ განახლებას.

სურათზე: სხდომათა დარბაზში.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

დეპუტატმა დიდი უურადღება დაუთმო ეკოლოგიურ ვითარებას რესპუბლიკაში და ხაზი გაუსვა, რომ ყველა სამინისტროსა და უწყების საწარმოებმა უთუოდ უნდა შეასრულონ ქვეყნის ბუნებისდაცვითი კანონმდებლობა.

უნდა ვაღიაროთ, თქვა თურქმენეთის კომპარტიის მარეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ჩ. გეჯენოვმა,** რომ გარდაქმნა ოლქის ეკონომიკის ბევრ უბანში ნელა მიმდინარეობს. არ ჩამოყალიბებულა წარმოების მართვის ორგანიზაციის ზუსტი სისტემა, ყველა საწარმო როდი მუშაობს დაგეგმვის ახალი სისტემის პირობებში. ეფექტიანად არ გამოიყენება მიწის ფონდი.

ორატორმა დამსწრეთ გააცნო აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის მუდმივი კომისიის მუშაობა, რომლის წევრიც იგი არის.

ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ბ. ე. საულმა** აღნიშნა, რომ რესპუბლიკისათვის მთავარი ამოცანაა კიდევ უფრო გააღრმაოს გარდაქმნის პროცესი და საგულდაგულოდ დაუკავშიროს ერთმანეთს სახელმწიფოსა და ადამიანის ინტერესები. შეეხო რა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის პრობლემებს, მან ხაზი გაუსვა, რომ ახლა უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ საწარმოთა კანონიერი უფლებები არ ილახებოდეს უწყებრივი ბარიერებით, მითითებებით და ინსტრუქციებით. ამიტომ საჭიროა უკვე წლეულსვე გადაიჭრას მეურნეობრიობის მექანიზმის სრულყოფის საკითხები.

დეპუტატმა წამოაყენა წინადადება, რომ შემოღებულ იქნეს დამატებითი სტიმულები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის დროს.

უზბეკეთის კომპარტიის ჯიზაყის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ი. ს. უმაროვმა** ილაპარაკა მებამბეთა ჩანაფიქრების რეალიზაციის, ყამირის მიწათმოქმედებაში ოჯახური იჯარის დანერგვის, გარდაქმნის პარტიული უზრუნველყოფის შესახებ.

ყამირის საბჭოთა მეურნეობების პოტენციალის არადამაკმაყოფილებელი გამოყენების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ორატორმა დაასახელა ჯერ კიდევ მათი დაპროექტების სტადიაზე დაშვებული უხეში შეცდომები. დაახლოებით ორი ათწლეულის წინ დამტკიცდა მებამბეობის კომფეურნეობათა დაპროექტებისა და მშენებლობის ძირითადი დებულებები. ამ დებულებებით ბამბის ნათესების დატვირთვის ნორმა ერთ მუშაზე განსაზღვრულია 6-7 ჰექტარის ოდენობით. მაგრამ ეს გადაჭარბებული ნორმატივებიც შემდგომში გაორკეცდა. ხოლო ოჯახურობის კოეფიციენტი რატომღაც შემცირდა. ამადა, საშუალო ოჯახი ახლა 6-7 კაცისაგან შედგება.

და აი გაანგარიშებისადმი თვითნებური მიდგომის შედეგიც: ძლიერ შემცირებული აღმოჩნდა მოთხოვნილება ბინებზე, სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებზე.

დეპუტატის აზრით, ამ გადაწყვეტილების გამოსწორება ოლქის ძალებით შესაძლებელია ორ-სამ წელიწადში.

მოიწონა რა სესიაზე განსახილველი დოკუმენტები, კრასნოიარსკის სახალხო დეპუტატთა სამხრეთ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ვ. პლიგოვმა** ხაზი გაუსვა, რომ 1988 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი განსაზღვრავს ჩვენი წინსვლის სათანადო ტემპს, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყოველმხრივი გაუმჯობესების, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების ამოცანებს.

უწინარეს ყოვლისა უნდა მოიპოს ჩამორჩენა ელექტროენერგეტიკაში სიმძლავრეთა ზრდის მხრივ, უფრო სწრაფი ტემპით განხორციელდეს ტექნიკური განახლება, უფრო აქტიურად მოხდეს ელექტროსადგურების ავტომატიზირება.

დეპუტატმა გამოთქვა სურვილი, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსის ბიურომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ენერგეტიკის სამინისტრომ უფრო სწრაფად მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას ელექტროსადგურების მშენებლობაში, კომპლექსური ავტომატიზაციის დიდად ეფექტიანი საშუალებებით მათს აღჭურვაში.

ამით პალატების ცალ-ცალკე სხდომები დამთავრდა.

დეპუტატ ვ. ი. ალავიძის სიტყვა

(საქართველოს სსრ თბილისის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო!

სკკპ XXVII ყრილობაზე დასახული ამოცანები, გარდაქმნის იდეები, საჯაროობისა და დემოკრატიის გაფართოება საბჭოთა საქართველოსა და მისი დედაქალაქის შრომელებმა ღვაძლ საქმედ აღიქვეს. რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყოველ უბანზე გზას იკვალავს განახლების ყლორტები, ჯანსაღდება მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ძლიერდება პრაქტიკული მოქმედება.

ქალაქ თბილისის ბევრი შრომითი კოლექტივი, უსადაგებს რა თავის საქმეებს საბჭოთის ძლევამოსილ შრომითს წინსვლას, სამშობლოს უპატაკებს დიდი ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებას. მიმდინარე წლის ცხრა თვეში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 2 პროცენტით გადაჭარბა დაგეგმილ საშუალო წლიურ ზრდას და 106,7 პროცენტი შეადგინა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ხუთწლედის ორი წლის დავალებანი ამ მაჩვენებლის მიხედვით წელიწადსა და ცხრა თვეში შეგვესრულებინა. პრაქტიკულად წარმოების მთელი მატება უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. არის გარკვეული ძვრები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა მიმართულებებითაც.

ამავე დროს მთელი რიგი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით ჯერ კიდევ არ არის მიღწეული გადამწყვეტი გარდატეხა. ამიტომ გაწეული მუშაობის შედეგები არასაკმარისად მიგვაჩნია. პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლის პირობებში ვერ უზრუნველვყავით ქალაქის ყველა საწარმოს სტაბილური მუშაობა. იმ ორგანიზაციათა შორის, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებს, არის ელექტროტექნიკური, ჩარხსაშენებელი, კავშირგაბმულობის საშუალებების, მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, რომლებიც საკავშირო სამინისტროებს ექვემდებარებიან. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ამცირებს ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობას შექმნილი ვითარებისათვის.

მაგრამ არის საკითხები, რომლებიც საკავშირო ორგანოების უფრო ქმედით დახმარებას საჭიროებენ: ჭიანურდება მასალებითა და მაკომპლექტებელი ნაწარმით ამ საწარმოთა უზრუნველყოფის გადაწყვეტა; დადგა მათი ტექნიკური განახლების მწვავე საჭიროება, რადგან ძირითადი ფონდების დაძველება ბევრად უსწრებს განახლების ტემპს. მაგალითად, მანქანათმშენებლობაში მოწყობილობის საშუალო ასაკმა 10 წელს გადააჭარბა. მეოთხედი ნაწილი 20 წელზე მეტი ხნისაა. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში კი დეფიციტურ პროდუქციას. რომელზეც მოთხოვნაა, უშვებენ 1985 წლის დაზგით. ამავე დროს საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა საქმის ვითარების გამოსწორების საშუალებას არ იძლევა, და ახლანდელ ეტაპზე გთხოვთ გაუწიოთ მათ დახმარება — გამოუყოთ შესაბამისი სახსრები ცენტრალიზებული წყაროებიდან.

ჩვენს საქმიანობაში სუსტი ადგილია გადაწყვეტილებათა მოთხოვნის რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და ხარჯების შეწონასწორების უზრუნველყოფა. აღნიშნული დისპროპორციის დაძლევას ვცდილობთ იმით, რომ უპირატესი ტემპით გავაფართოოთ საბალხო მოხმარების საქონლის წარმოება. მაგალითად, წელს ამ კატეგორიის საქონლის გამოშვებაში ქალაქის მრეწველობის მიერ მიღწეულმა ზრდის ტემპმა 107,4 პროცენტი შეადგინა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გვეწარმოებინა 127 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია, ვიდრე 1986 წელს, აქედან 60 მილიონი მანეთისა — გეგმის გადაჭარბებით. მაგრამ საქონლბრუნვის გეგმა შეუსრულებელი დარჩა, რის გამოც, სუბიექტური ფაქტორების გარდა, არის დიდი განსხვავება გეგმის სასაქონლო უზრუნველყოფაში. გაისად საქონლბრუნვის მოცულობის გადიდება კი, თუ იგი არ უზრუნველვყავით 10 პროცენტამდე, ანუ თითქმის 600 მილიონი მანეთის რესურსებით, კიდევ უფრო გაღრმავებს აქედან გამომდინარე პრობლემებს. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ განიხილოთ რესპუბლიკის განაცხადის მიხედვით 1988 წლისათვის სასაქონლო რესურსების გამოყოფის საკითხი.

ამხანაგებო! ორი წლის წინათ მიღებული იყო რესპუბლიკის დედაქალაქისათვის ისტორიული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „1986-1990 წლებში ქალაქ თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. გაჩაღდა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მისი შესრულებისათვის. ამის შედეგად დაისახა გარკვეული ძვრები ქალაქის სოციალური და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევაში. მაგრამ აღნიშნული პრობლემების სიმწვავე ჯერ არ ნელდება. არის ჩამორჩენა ცალკეული მნიშვნელოვანი მიმართულებებით და უწინარეს ყოვლისა მშენებლობასა და კომუნალურ მეურნეობაში, რისთვისაც პრინციპულად და სამართლიანად გაგვაკრიტიკეს. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ამ დარგებში ბევრი აუმოქმედებელი რეზერვია და შესაბამისი დასკვნები გამოგვაქვს.

მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ, მაგალითად, მიმდინარე წლის საიჯარო სამუშაოთა გეგმა უზრუნველყოფილი არ არის საწარმოო სიმძლავრეებით 13 პროცენტით და მეტად, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მშენებელთა შრომის ფონდაღჭურვილობა თითქმის ორჯერ ჩამორჩენა საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს. უფრო მეტიც, შეიმჩნევა, რომ შეწონასწორებული არ არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა საჭირო ლიმიტებთან, რომლებიც რესპუბლიკას გამოეყოფა ისეთი უმნიშვნელოვანესი მუხლების მიხედვით მოწყობილობის, მანქანებისა და მექანიზმების შეძენის ფონდებით, როგორიცაა ავტოტრანსპორტი, მშენიდუსტრია, კავშირგაბმულობა, კომუნალური მეურნეობა, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა. 1988 წლისათვის ეს განსხვავება 61 მილიონ მანეთს მიაღწევს, რაც, უეჭველია, უარყოფით გავლენას მოახდენს აღნიშნული დადგენილებით დასახული პროგრამის შესრულებაზე. იმედი გვაქვს, რომ ქმედითად ჩაერევიან სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სახმშენი, სხვა დაინტერესებული საკავშირო ორგანოები როგორც აღნიშნული პრობლემების, ისე იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომ მეთორმეტე ხუთწლედში დამატებით გამოგვიყონ 18 მილიონი მანეთი ახალი, ჩვენი ქალაქის პირობებში მეტად საჭირო, თბილისის მეტროპოლიტენის რიგების მშენებლობისათვის, რომლებიც ქალაქის სატრანსპორტო სქემის განვითარების გეგმით არის გათვალისწინებული.

ამჟამად მთელ ძალებს ვახმართ სანაინო პრობლემის გადაჭრას. ჩვენს პირობებში მისი სიმწვავე ღრმავდება იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის ძველ ნაწილში ათასზე მეტი ავარიული და ფარფლალა სახლია, რომელთა ფართობი ნახევარი მილიონი კვადრატული მეტრია. მათი შეკეთება წელიწადში 200 მილიონ მანეთზე მეტი ჯდება. არადა, ყოველწლიურად ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები 30 მილიონ მანეთს არ აღემატება, ამასთან სრული მოცულობით არა ვართ უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსებით. რადგან ეს მწვავე სოციალური პრობლემაა, და ჩვენი ქალაქი ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, გამონაკლისი არ არის, ჩვენი აზრით, მისი გადაწყვეტა საჭიროა საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით.

კიდევ ერთ საკითხს მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება. ჩვენ შეგნებული გვაქვს პასუხისმგებლობა რესპუბლიკის კურორტების, უწინარეს ყოვლისა შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე განლაგებული კურორტების შემდგომი განვითარებისათვის, სადაც ყოველწლიურად მილიონობით საბჭოთა ადამიანი იკაეებს ჯანმრთელობას. ეს პასუხისმგებლობა გაცილებით იზრდება ამჟამად მიმდინარე სახალხო ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის კონტექსტით. მიმდინარე წლის დამდეგს სტიქიურმა უბედურებებმა განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიწვია და უმნიშვნელოვანესი ამოცანების რანგში ჩააყენა დიდი მასშტაბის ნაპირსაცავი და პლაჟაღლადგენი სამუშაოების შესრულების საჭიროება. მაგრამ 1988 წლის გეგმის პროექტში ეს მუხლი არ არის. ამ ღონისძიებათა დაფინანსების შეწყვეტას მოჰყვება უკვე აღდგენილი პლაჟების ნგრევა და ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზარალი მოგვაყენოს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ გეგმის პროექტში სახსრების გამოყოფა ნაპირსაცავი მიზნებისათვის.

ამხანაგებო! 1988 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები ასახავენ მასშტაბითა და სირთულით დიდებულ ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყვიტოთ მეთორმეტე ხუთწლედის მესამე წელს. გეგმის დავალებანი მეტად დაძაბული, მაგრამ რეალურია და მათი შესრულება შეიძლება. ვიწონებთ რა დოკუმენტებს, რომლებსაც დღეს განვიხილავთ, ნება მიბოძეთ აღგითქვამ, რომ რესპუბლიკის, მისი დედაქალაქის მშრომელები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა განახორციელონ გარდაქმნის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების რევოლუციური პროგრამა.

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა დ. გ. ჩუბინიშვილი გაათავისუფლა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ა. ა. კორვალიძე, რომელიც პარტიის ამავე საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პლენუმი

გაიმართა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ა. ვ. ქვანია, რომელიც პარტიის ამ რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანჩაბაძემ.

პარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა დ. დ. ჩხეტიანი გაათავისუფლა პარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში სამუშაოდ გადაყვანასთან დაკავშირებით.

პარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ე. კ. გოგაცა, რომელიც პარტიის ამავე რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

(საქინფორმი).

დეპუტატ ნ. ს. კონარევის სიტყვა

(საქართველოს სსრ გურჯაანის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ვფიქრობ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყველა ჩვენგანისათვის, ვინც მოისმინა მოხსენებები ქვეყნის 1988 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ და გაეცნო ამ საკითხების გამო მისაღებ კანონთა პროექტს, ცხადზე უცხადესია, რომ 1988 წელი ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში შეავ როგორც ხალხის სამეურნეო, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს ძირეულ ცვლილებათა წელი. ძალმფსილი გახდება კანონი სახელმწიფო საწარმოს შესახებ, ბევრი დარგი გადავა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, გაფართოვდება დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესები, განმტკიცდება სსრ კავშირის პოზიციები მსოფლიო გაერთიანებაში. გაუმჯობესდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. ეს იქნება პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული რევოლუციური გარდაქმნების პირდაპირი შედეგი, ფართო მასშტაბის გარდაქმნის პროცესების პროდუქტი, სკკპ XXVII ყრილობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და მომდევნო პლენუმების იდეათა რეალიზაცია.

ხალხი მხარს უჭერს პარტიისა და მთავრობის საქმიანობის ასეთი მიზანმიმართულებას და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი პრაქტიკული წვლილი შეიტანოს გარდაქმნის პროგრამის განხორციელებაში. მაგრამ ამასთან თითოეულ ჩვენგანს შეგნებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რომელიც გვეკისრება ჩვენ, დეპუტატებს, მონდობილი საქმისათვის, ჩვენი თანამდებობრივი მოვალეობების ზუსტი შესრულებისათვის. უნდა ვიმუშაოთ გაცილებით უკეთ, უფრო ორგანიზებულად და შედეგიანად.

რკინიგზის ტრანსპორტის მშრომელები, რომლებმაც იციან, თუ რა როლი განეკუთვნება მათს დარგს გარდაქმნის პროცესში, ისწრაფვიან დადებითი წვლილი შეიტანონ ამ მნიშვნელოვან საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთწლედის მეორე წლის დამლევამდე ორ თვეზე ცოტა მეტი დარჩა, 1987 წლის პირველ კვარტალში დაშვებული დანაკარგები კი მეტად საგრძნობი იყო, შემძლია გაუწყოთ, რომ ხუთწლედის ორი წლის დამთავრების შემდეგ რკინიგზის ტრანსპორტი გეგმის გადაჭარბებით გზგზაენს 50 მილიონ ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს, გადაჭარბებით შეასრულებს ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის დავალებებს, მიიღებს 60 მილიონი მანეთის ზეგეგმით მოგებას, 14 პროცენტით გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, 2,5 პროცენტით შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. დარგის რეზერვის შემოქმედებითი გამოყენების მეოხებით მშრომელთა ხელფასი მთლიანად 22 მანეთით მომატებს, ცალკეულ გზებზე კი დაახლოებით 40 მანეთით. ტრანსპორტის მუშაკთა საშუალო ხელფასი თვეში 240 მანეთს გადაჭარბებს.

დასახულია, რომ 1988 წლისათვის კიდევ უფრო გაიზარდოს ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობა. ამას საფუძვლად უდევს დაძაბული, საგულდაგულოდ შემუშავებული 1988 წლის სახელმწიფო გეგმა მისი მთელი სირთულეებითა და თავისებურებებით. ჩვენ მხარს ვუჭერთ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალი წლის სახელმწიფო გეგმის ძირითად მაჩვენებლებს და ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ იგი უთუოდ შეავასრულოთ ყველა პოზიციის მიხედვით, რომელიც რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას ეხება.

ამავე დროს მთლიანად არ გვაკმაყოფილებს ზოგიერთი მონასახი და უწინარეს ყოვლისა მოძძავი შემადგენლობის, მანქანებისა და მასალების დაგეგმილი მიწოდების არასაკმარისი მოცულობა. გეგმაში არ არის შესამჩნევი ძვრა დარგში დაგროვილი ღონეს ვიხმარიან. საკ

საბჭოთა აფხაზეთი

70 1917·1987

ზრდისა და წინსვლის წლებზე

ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები, სამასამდე საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირი, სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნებისა და, საერთოდ, ყოველდღიური ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნებისმიერ დარგში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებები, მომავლის ნათელი პერსპექტივები... — აი, მოკლედ ასეთია მრავალეროვანი საბჭოთა აფხაზეთის „სავიზიტო ბარათი“, რომლითაც იგი ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის იუბილეს.

ეს სასიკეთო ცვლილებები განსაკუთრებით ხელშესახებად გამოიკვეთა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებების მოთხოვნათა განხორციელების პროცესში.

ოქტომბრის დღესასწაულს ხელდამშვენებული ეგებებიან აფხაზეთის მეშახტეები, მშენებლები, რკინიგზელები, მეჩაიეები, მეციტრუსეები. ხოლო არცთუ ისე შორეულ მომავალში ერთიორად გაიზრდება ჩაის, ციტრუსოვანთა, ეთერზეთებისა და სამხრეთული კულტურების მოსავლიანობა. ამისათვის აქ, კოლხეთის ზონის ოდესღაც დაჭაობებულ ადგილებში, ათვისებულია 11 ათასი ჰექტარი ფართობი.

ასეთივე წარმატებებია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურებაში, გაუმჯობესდა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაობა. სახელმწიფო და კოოპერატიული სახსრებით აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, ბაგა-ბაღი. მიმდინარეობს საშრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია, შენდება საკურორტო და ტურისტული დანიშნულების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების მრავალი ობიექტი.

უკანასკნელ წლებში გრანდიოზული ცვლილებები მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. სოხუმი სტუდენტთა ქალაქად გადაიქცა. დიდი მოვლენა იყო აფხაზეთში სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა. აქვე წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, რომელიც კადრებს უმთავრესად ჩვენი რესპუბლიკის რაიონებისათვის ამზადებს.

შთამბეჭდავია უნივერსიტეტის ხვალინდელი დღე: ახალი საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობისათვის, რომელიც მალე დაიწყება, გამოყოფილია 42 ჰექტარი მიწის ფართობი. სოხუმის ცენტრში შენდება ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახლი. მალე დასრულდება ბეჭდვითი სიტყვის სახლის მშენებლობა, რომლის პირველი რიგი უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ.

ხელშესახები სასიკეთო ძვრებია მეცნიერებაში. აფხაზეთში ამჟამად ოცდაათამდე სამეცნიერო დაწესებულებაა, რომლებშიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა პრობლემებზე მუშაობს ათასზე მეტი სწავლული.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს აფხაზეთის თეატრალური ხელოვნების მუშაკებმა. საკმარისია ითქვას, რომ წარსულში ჩამორჩენილ, უწიგნურ მხარეში დღეისათვის ფუნქციონირებს სამი თეატრი — აფხაზური, ქართული და რუსული. სულ უფრო ვითარდება და ახალ სიმაღლეებს იპყრობს აფხაზეთის ლიტერატურაც.

საქმიანობის ნებისმიერ დარგში მოპოვებული წარმატებებით ეგებება მზიური საბჭოთა აფხაზეთი დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს.

სოხუმი. ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური კუთხე. Ш. სოკოლოვის ფოტო.

ტაიფ აჯბა

ფიცი

სადაც არ ვიყავი,
სადაც არ წაველი
და რა ბედისაც ვიყავ ზიარი,
შენდა კურთხევად თასი დავცალე,
ვიყავ დაჭრილი შენი იარით,
სიზმრად ვხედავდი მე შენს ვარსკვლავებს,
ხან მხიარული, ხან ნაღვლიანი.

შენი სიმაღლის ვიყავ მსურველი
და შენი მიწა მე თან დამქონდა
და მთვრალს მაგ შენი მთვარის სურნელით
ლელო ყოველთვის შენით გამქონდა,
ასე გავლილ გზები ულევი,
შენ იყავ, რაიც მქონდა, არ მქონდა.

მიწა რომ ჰყავავის, ვიცი, შენა ხარ,
ცა რომ კრიალებს, შენა ხარ ისიც,
ვინმემ სამოთხე თუკი ვერ ნახა,
შენთა ვარსკვლავთა უცქეროს ციმციმს,
მოვკვდე? — საფლავზე შენმა ვენახმა
ხელი აღაპყროს ლოცვით და ფიცით.

აფხაზურიდან თარგმნა ჯანო ჯანელიძემ.

ვეტერანი

მასთან ყოველი შეხვედრა სიცოცხლის ხალისსა და რწმენას მატებს ადამიანს. თუმც ოთხმოცს გადაცილებულია, ისევ მხნედ არის პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანი მიხეილ გიორგის ძე ქუჩუბერია. საინტერესოდ, რაღაცნაირი გადამდები ენთუზიაზმით გიამბობს წარსულის ამბებს.

1917 წლის მარტის ის დღე გუშინდელივით ახსოვს. მეხუთეკლასელი იყო. მაშინ გაიგონა პირველად სიტყვები „თავისუფლება, ძმობა, ერთობა“.

იმ დღეს სოფელში მოუთმენლად ელოდნენ ეფრემ ეშბას ჩამოსვლას. ისიც მოვიდა, ჯარისკაცის მაზარა ეცვა, მაღალი, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო. ორი ათასზე მეტ კაცს მოეყარა თავი სკოლის ეზოში.

მგზნებარე სიტყვა წარმოუთქვამს ეფრემ ეშბას, სხვაც ბევრი გამოსულა სიტყვით. იმ დღეს განსაკუთრებული ზეგავლენა მოუხდენია მიხეილზე. მალე კომკავშირში მიუღიათ და სხვებთან ერთად აფხაზეთის ახალგაზრდული ორგანიზაციის „სპარტაკის“ შექმნის ორგანიზატორიც გამხდარა...

მიხეილი და მისი ამხანაგები დიდ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწეოდნენ ახალგაზრდობაში. მალე მის მშობლიურ სოფელ რეკაში კომკავშირული უჯრედი შეიქმნა, რომლის მდივნადაც მიხეილი აირჩიეს. კომკავშირელთა წინაშე დიდი ამოცანები იდგა: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლა, ანტირელიგიური პროპაგანდა, მშრომელთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდა, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა...

1925 წელს მიხეილ ქუჩუბერია კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. მუშაობდა პასუხსაგებ კომკავშირულ, პარტიულ და სამეურნეო თანამდებობებზე, მუდამ მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

მერე იყო დიდი სამამულო ომის მძიმე წლები, ბატონი მიხეილი მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში, იბრძოდა უკრაინაში, პოლონეთში, მტერს ბერლინამდე მისდია. შემდეგ კვლავ კეთილსინდისიერი შრომა, ძიება, შენება...

...კარგი ოჯახი აქვს ვეტერანს. მეუღლე — ალექსანდრა დიდხანს მუშაობდა მედდად, ახლა პენსიონერია, ქალიშვილი — ზნაიდა მედიცინის მუშაკია, ინდუსტრიულ ტყვარჩელში ცხოვრობს და მუშაობს. მიხეილის ვაჟი — ვლადიმერი ინჟინერია და მოსკოვში მუშაობს.

ხარობს შვილიშვილებსა და ახლობლებში მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული და საყოველთაო უურადღებითა და პატივისცემით გარემოსილი მიხეილ ქუჩუბერია.

— ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულიაო — უყვარს თქმა პარტიის ვალმოხდილ ვეტერანს. ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ მას, არც მოკლებოდეს ეს სიყვარული!

ა. ქოგალია,
ოჩამჩირის რაიონული გაზეთის „კომუნიზმისაკენ“ რედაქტორის მოადგილე.

მეშახტეთა ქალაქის სიახლენი

სასიკეთო ცვლილებებით ეგებება ოქტომბრის იუბილეს აფხაზეთის ინდუსტრიული ცენტრი ტყვარჩელი. ახლახან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა 90-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, აგრეთვე ახალი, 140-ადგილიანი საბავშვო ბაღი.

დაძაბულად შრომობს ამ დღეებში „ტყვარჩელშახტმშენის“ საშენებლო სამმართველოს კოლექტივი, რომელიც ამთავრებს მეშახტეთათვის განკუთვნილ 45-ბინიან საცხოვრებელ სახლს კალინინის ქუჩაზე. ქალაქის ცენტრში აშენდა და მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა სახელმწიფო ბანკის ახალი შენობა. ტყვარჩელელები მადლიერებით იხსენებენ თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებმაც მთელი ზაფხული დიდი მონდომებით იშრომეს ქალაქის ახალმშენებლობებზე.

საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე სკოლათშორისი სასწავლო-საწარმოო კომბინატი. ამოქმედდა ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგური. დასასრულს უახლოვდება ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის, ქალაქის სტადიონის რეკონსტრუქციის სამუშაოები. რეკონსტრუქციის შემდეგ, სადღესასწაულოდ დაბა აკარმარაში მომხმარებლებს სტუმართმოყვარულად გაუღებს კარებს ახალი კეთილმოწყობილი კაფე. ქალაქში შენდება ჰიგროსკოპიული ბამბის ფაბრიკა და სხვა ობიექტები.

ქალაქ ტყვარჩელის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული 44 ღონისძიებიდან 24 უკვე განხორციელებულია. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამან საგრძნობლად შეაჩარა მოსახლეობის მიგრაცია.

არ დავიწყება მოუვრისა...

აფხაზეთის მხატვართა საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გერმანელი პროფესიონალი რეგოლუციონერის ალფრედ კურელას ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. მისი ორგანიზატორები არიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საზოგადოების აფხაზეთის განყოფილება, და გერმანიის ხელოვნების აკადემია.

გამოფენის გახსნისას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. კუპრავამ ილაპარაკა ა. კურელას ცხოვრებასა და საქმიანობაზე, საქართველოსა და, კერძოდ, აფხაზეთთან მის მრავალწლიან კავშირზე. გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდნენ ა. კურელას მეუღლე და გამოფენის ავტორი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების აკადემიის ა. კურელას არქივის თანამშრომელი, დოქტორი მარი-ლუიზა დიტმალი.

კიარაზელთა სამშობლოში

სოფელ ზვანდრიფშის ბოლოს მწვანე მინდორზე წითელი დროშა ფრიალებს. დიდი ოქტომბრის დღესასწაულთან მზადების დღეებში ეს ქვისგან გამოკვეთილი მემორიალი დაიდგა იმ ადგილას, სადაც 1918 წლის გაზაფხულზე ნესტორ ოკუმბას ხელმძღვანელობით გაიმართა რევოლუციურად განწყობილ გლეხთა და მათ დასახმარებად მოსულ სოჭის წითელგვარდიელთა შეერება. შეიარაღებული გლეხები საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დადგნენ.

კიარაზელები იყვნენ გუდაუთის რაიონში ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის ინიციატორები. და ამტკიცეს ღრმად სამმოლიერა, რომ გლეხთა რევოლუციური რაზმის კიარაზის შექმნის 70 წლისთავისათვის მზადება აფხაზეთში დიდი ოქტომბრის საიუბილეო დღეებს დაემთხვა. აფხაზეთის მშრომელები დიდ პატივს მიაგებენ თავიანთ სახელოვან რევოლუციონერ წინაპრებს. ამჟამად კიარაზელთა სახელს ავტონომიურ რესპუბლიკაში ატარებენ კოლმეურნეობები, ქალაქების ქუჩები, სკოლები, გუდაუთის კინოთეატრი...

მათი სახელის უკვდავსაყოფად შექმნილია შემორიალები მთის მდინარეების ბზიფისა და მჭიშთას ნაპირებზე.

გუდაუთელები ამაყობენ თავიანთი კუთხის რევოლუციური აღგილებით. რაიონში იქმნება ს. ორჯონიკიძისა და ნ. ლაკობის რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი მუზეუმები. სოფელ ბომბორაში, ზღვისპირას, სადაც ჯერ კიდევ 1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის ცხარე დღეებში ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით აფხაზეთის წითელი პარტიზანებისათვის იარაღი გადმოიტვირთა, მემორიალური ძეგლია აღმართული.

შენდება „კოლხეთის“ პლანტაციები

„აფხაზეთის თაიგული“, „ექსტრა“ და თხუთმეტი სახეობის სხვა ნახევარფაბრიკატები, რომლებსაც აფხაზეთის ჩაის ფაბრიკები სასელექციო კლონის „კოლხეთისაგან“ ამზადებენ, გემოვნებით, ფერითა და დაფასოებით სავსებით შეესაბამება შავი ბაიხაოს ჩაის მსოფლიო სტანდარტებს. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიან როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელი ტიტესტერები.

ესეც არ იყოს, როგორც ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სოხუმის ფილიალის დირექტორმა ვ. გვასალიამ გვითხრა, „კოლხეთი“ ჩვენში ყველაზე უხვმოსავლიანია. მაგრამ მისი საწარმოო პლანტაციების ფართო მასშტაბით გაშენებას ერთგვარად ამუხრუჭებდა ვეგეტატიური გამრავლების ინდუსტრიული მეთოდების უქონლობა. ამჟამად ეს უკვე განვლილი ეტაპია. საწარმოო გაერთიანების ფილიალში ამოქმედდა სათანადო დანადგარებიანი სპეციალური კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ კალმების 75 პროცენტით დაფესვიანებას და ყოველწლიურად 2,5 მილიონი სტანდარტული ნერგის მიღებას. გარდა ამისა ოჩამჩირის რაიონში, ექსპერიმენტულ ფილიალ „დაჩამი“ შემუშავებულია „კოლხეთის“ პლანტაციებში ფოთლის მექანიზებული კრეფის ტექნოლოგია.

ერთი სიტყვით, ახლა აფხაზეთში ამ პერსპექტიული ნერგის მოყვანისა და ყოველწლიურად 500-600 ჰექტარი პლანტაციის გაშენების ყველა პირობაა შექმნილი.

ამჟამად ავტონომიურ რესპუბლიკაში „კოლხეთი“ 1.700 ჰექტარზეა გაშენებული.

„ალაშარამ“ გამოსცა

აფხაზეთში ფართოდ აღინიშნება დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი.

ახლახან გამომცემლობა „ალაშარამ“ აფხაზურ ენაზე დასტამბა ი. ჭავჭავაძის რჩეული თხზულებები, ლექსები და მოთხრობები. გამოცემის რედაქტორია ლ. წერეთელი, ხოლო მხატვრული გამფორმებელი — პ. ცქვიტარია.

წიგნში შესული ნაწარმოებების თარგმანი ეკუთვნის ს. ჯანბას, ბ. შინქუბას, დ. გულიასა და დ. ზანთარიას.

მასალები მოამზადა „კომუნისტის“ საპუთარმა კორესპონდენტმა ი. გოგეჩიამ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ბრძოლა განიარაღებისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის უნდა გაგრძელდეს, სანამ მსოფლიოში მშვიდობა მტკიცედ არ დამკვიდრდება. მეტად საპატიო მისიას ისახავს -

მშვიდობის კრუიზი

დევიზით „უბირთვო მსოფლიო სოციალიზმის იდეალია“, რომელიც შავ ზღვაზე მოეწყო განიარაღებისათვის მოქმედების საერთაშორისო კეირეულის ფარგლებში და რომელშიც საქართველოს შვიდასი წარმომადგენელი მონაწილეობს.

თბომავალი „აფხაზეთი“, რომელზეც კრუიზის მონაწილენი იმყოფებიან, სოხუმის საზღვაო ნავსადგურიდან გავიდა. ოდესის და იალტის გავლით ჯერ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩავა, შემდეგ კი რუმინეთს ეწვევა. აღნიშნული კრუიზი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები მარად მზად არიან გააერთიანონ ძალისხმევა უბირთვო პლანეტისათვის.

▼▼

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას არასოდეს დავიწყებს შთამომავლობა.

ოქტომბრის გვარდია

ასე ეწოდება პოლიტგამომცემლობის მიერ ორ ტომად, გამოშვებულ გამოცემას, რომელშიც შეეყარა ნარკვევები და მოგონებები თვალსაჩინო რევოლუციონერებზე.

პირველ კრებულში დაბეჭდილია მასალები ვ. ი. ლენინზე, ი. მ. სვერდლოვსკზე, მ. ი. კალინინზე, ფ. ე. ძერჟინსკისა და მათ თანამებრძოლებზე, რომლებმაც მასები შეიარაღებულ აჯანყებამდე მიიყვანეს. მეორე ტომი მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლისადმია მიძღვნილი. აქ დაბეჭდილია მ. ა. უსიევიჩის, ვ. პ. ნოგინის, ი. ა. პიატნიცკის და სხვა მოსკოველ ბოლშევიკ-ლენინელთა შესახებ მოგონებანი.

▼▼

მთელი რესპუბლიკა ზეიმობს დიდი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართული საიუბილეო საღამო ფაქტობრივად ამ რეგიონში ამ დღეების

ბოლო აკორდი

იყო. საიუბილეო დღეების ფარგლებში საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, მოეწყო დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონფერენციები. ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ ყვავილებით შეამკეს ილიას ძეგლი. ამავე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

▼▼

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ხვალ დუშეთში, სადაც ილია მომრიგებელ მოსამართლედ გაამწესეს, გაიმართება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მართლმსაჯულების ალმზრდელობითი როლის, სასამართლო ეთიკის პრობლემებზე. კონფერენციას ერთობლივად აწყობენ საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომი და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. თამაზ ალექსანდრეს ძე ქოიავა დანიშნა საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისაგან

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავად მიმოქცევაში სამახსოვრო მონეტის გამოშვების შესახებ

1987 წლის 20 ოქტომბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავად მიმოქცევაში გამოვიდა მანეთიანი, 3 და 5-მანეთიანი საიუბილეო მონეტები.

ეს საიუბილეო მონეტები თეთრი ფერის სპილენძ-ნიკელის შენადნობისაა და აქვს 31, 33, 39 მილიმეტრი დიამეტრი.

მონეტებს შუბლსა და უკანასტარზე ირგვლივ გასდევს ამობურცული კანტი. შუბლზე გამოსახულია სსრ კავშირის გერბი და წარწერილია „სსრკ“, „1987“ და შესაბამისად: „1 მანეთი“, „3 მანეთი“, „5 მანეთი“.

მანეთიანი მონეტის უკანასტარზე არის ბაფთის სიმბოლური გამოსახულება თარიღით „1917“, აგრეთვე დედამიწის სფერო, ნამგალი და ურო, და კრეისერი „ავრორა“, ქვედა ნაწილში წარწერილია **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წელი“** და დაფნის შტო.

3-მანეთიანი მონეტის უკანასტარზე არის ჯარისკაცის, მუშისა და მატროსის რელიეფური გამოსახულება, ზედა ნაწილში წარწერილია თარიღი „1917“ და გარშემო — წარწერა **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდაათი წლისთავისა“**.

5-მანეთიანი მონეტის უკანასტარზე ზედა ნაწილში ალმის სიმბოლური გამოსახულების ფონზე თარიღით „1917“ არის ვ. ი. ლენინის ბარელიეფი, ქვედა ნაწილში წარწერილია **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წელი“** და დაფნის შტო.

მონეტების ზედაპირზე არის ორი ჩაღრმავებული წარწერა შესაბამისად: **„ერთი მანეთი“, „სამი მანეთი“, „ხუთი მანეთი“**, რომლებიც მანეთიან მონეტაზე გამოყოფილია ორი წერტილით, ხოლო 3-მანეთიან და 5-მანეთიან მონეტებზე — ორი ვარსკვლავით.

საიუბილეო მონეტები, რომლებიც მიმოქცევაში გამოდის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავად, ამჟამად მიმოქცევაში არსებულ მონეტებთან ერთად სავალდებულოა მიიღონ სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ყოველგვარი ფულადი გადასახდელებისას, აგრეთვე ბანკებმა, შემნახველმა სალაროებმა და კავშირგაბმულობის სამინისტროების საწარმოებმა მიმდინარე, საანგარიშწორებო ანგარიშებზე ჩასარიცხავად, ანაბრებად, აკრედიტივებად და გზავნილებად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

ორბიტის ამბები

ფრუნზის მართვის ცენტრი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). 256 დღეღამეა მუშაობს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე იური რომანენკო, მიჰავრდება ალექსანდრე ალექსანდროვის კოსმოსური ვახტის მეცამეტე ავირა.

ეკიპაჟის დღევანდელი დღის განრიგით გათვალისწინებულია განსორციელდეს ხმელეთისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ცალკეული რაიონების დაკვირვებები და ფოტოგადაღება, გამოკვლევები, ატმოსფეროსგარე ასტროსომიის დარგში, აგრეთვე ორსაათიანი ფიზიკური ვარჯიში.

დაიწყო გრძელი ტალღების ულტრაიისფერი დიაპაზონით ასტროფიზიკური ობიექტების შესწავლის ექსპერიმენტების ციკლი: „კვანტ“ მოდულში დადგმული „ბლაზარ“ ტელესკოპის საშუალებით შესრულებული ამ გამოკვლევების მიზანია მონაცემების მიღება გალაქტიკათა მოკლეტალღოვანი გამოსხივების შესახებ. დაკვირვების ობიექტად არჩეულია რაიონები კიჩოსა და ანდრომედას თანავარსკვლავედებში.

ტრაექტორულ გაზომვათა შედეგებით, ამჟამად „მირ“ პილოტირებული კომპლექსის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 354 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 305 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 90,9 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

მუშაობა ორბიტაზე გრძელდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური საბინისტრო გარდაქმნა სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროდ.

უკსოეთში

საკვლევი იუწყება 20 ოქტომბერი

სპარსეთის ყურე:

ვითარება უკიდურესად დაძაბულია

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რეიგანმა კვირას განაცხადა, რომ გადაწყვეტა სპასუხო ღონისძიებებს მიმართოს იმის წინააღმდეგ, რომ პარსკეთს სპარსეთის ყურეში რაკეტები დაუშინეს ქუვეითის ტანკერს, რომელიც ამერიკის დროშით დაცურავს. როგორც სი-ბი-ესის ტელეკომპანიამ გვაცნობა ამ განცხადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ კონგრესის ლიდერები თეთრ სახლში მიიწვიეს. ამბობენ, რომ ამგვარი შეხვედრები ეწყობოდა 1983 წელს გრენადაში ამერიკის ჯარების შეჭრისა და 1985 წელს ლიბიაზე ამერიკული თვითმფრინავების თავდასხმის წინ.

გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ თქმით, „საგანგებო ვითარებაში საომარი მოქმედების გეგმები უკვე ამოქმედდა“. პენტაგონის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ უკვე მზად აქვთ ირანის ტერიტორიაზე შესაძლო სამიზნეების სია. „სპასუხო დარტყმის“ ფარიანტებს შორის არის ირანის სარაკეტო პოზიციების განადგურება ბენდერ-აბასის რაიონში „ტომაგავკის“ ტიპის უბირთვო რაკეტებით“. „ავიამზიდებზე განლაგებული ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენების“ სამიზნეა აგრეთვე „სამხედრო ობიექტები ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სხვა რაიონებში“, აღნიშნავს „ნიუ-იორკ პოსტი“.

ამჟამად ამერიკის სამხედროსაზღვაო ძალების სამ ხომალდს უკავია პოზიციები, საიდანაც შეუძლიათ ფრთოსანი რაკეტები დაუშინონ ირანს, წერს გაზეთი „ფილადელფია ინკუაირერი“ როგორც სი-ენ-ენის ტელეკომპანიამ აღნიშნა სუეცის არხი სპარსეთის ყურის მიმართულებით გაიარა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების კიდევ 4-მა ხომალდმა.

ნიუ-იორკი. ამერიკელი კომანდოსები გადმოსხდნენ ირანის ნავთობის პლატფორმაზე, რომელიც მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროსაზღვაო ძალების მიერ ორშაბათს იერიშმიტანილი ორი სხვა ნავთობის პლატფორმიდან რამდენიმე კილომეტრზე და გაანადგურეს იქ აღმოჩენილი რადიოსალოკაციო მოწყობილობა და კავშირგაბმულობის საშუალებანი. ასოშიეიტედ პრესის საგენტო, რომელიც პენტაგონის წარმომადგენელ იმოწმებს, იუწყება, რომ ეს პლატფორმა ირანის მომსახურე პერსონალმა დატოვა ორი მეზობელი ნავთობის პლატფორმის დაბომბვისთანავე.

* * *

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ირანის მუდმივმა წარმომადგენელმა ს.აიდ რაჯაი-ჰორასანიმ დაგმო ირანის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების „აგრესიის არაპროვოცირებული აქტები“ და მათ საერთაშორისო სამართლის ნორმების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფორმისა და შინაარსის აშკარა დარღვევა უწოდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ორშაბათს მოწყობილ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ ამ აქციებს „უპასუხოდ არ დატოვებენ“.

რაჯაი-ჰორასანიმ თქვა, რომ სპარსეთის ყურეში ამერიკის ძალების ყოფნა ყველაზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობასა და უშიშროებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ამერიკის შეიარაღებული ძალების გაყვანა რეგიონიდან.

ირანის წარმომადგენელმა თქვა, რომ თავისი აქციებით ამერიკის შეერთებული შტატები ახლა პირდაპირ ჩაბმულია შეიარაღებულ კონფლიქტში. ამერიკელ ხალხს ითრევენ — და მეტად უგუნურად — „ახალ ვიეტნამში“.



გეოგრაფიულ რუკაზე აღნიშნული ამ პატარა ცისფერი ლაქისადმი უკვე რამდენიმე თვეა მიპყრობილია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ რეგიონში შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას, აანალიზებენ შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნის შანსებს, დაძაბულობის გაძლიერების შესაძლო შედეგებს. სამხედროები ადარებენ სპარსეთის ყურის მოვლენებში ჩაბმული ქვეყნების საბრძოლო პოტენციალს, ამუშავებენ მოქმედების გეგმებს საომისოდ, თუ კრიზისული სიტუაცია შეიქმნა. რეგიონის ხვალინდელი დღე ამჟამად მეტისმეტად ბუნდოვანია.

* * *

სურათზე: რუკა, რომელზეც ნაჩვენებია რეგიონიდან ნავთობის ექსპორტის გზები (ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში) და, მაშასადამე, მისი სტრატეგიული მნიშვნელობა იმპერიალისტური ბანაკისათვის.

უშიშროების საბჭოში

გაიმართება კონსულტაციები

ნიუ-იორკი. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო გამართავს კონსულტაციებს, რომლებზეც განიხილავენ ბოლოდროინდელ მოვლენებს სპარსეთის ყურეში.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელს ისინი არ განუმარტავს, მაგრამ განაცხადა და, რომ გასულ პარასკევს პერეს დე კუელიარმა კვლავ მოუწოდა შეიკავონ თავი. ამასვე მოითხოვს, თქვა მან, უშიშროების საბჭოს რეზოლუციები.

ჯ. უაინბერგერის განცხადება

ვაშინგტონი. **ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კასპარ უაინბერგერმა თეთრი სახლისა და პენტაგონის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ აპირებს გადადგომას.**

ამას „საიმედო წყაროების“ დამოწმებით იუწ

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ დღესასწაული „კვალი ნათელი“ გაიმართა ბორჯომის რაიონის ნაკრძალ ადგილას — „ტიმოთესუბანში“. აქ უძველესი ძეგლის წინ მინდორზე შეიკრიბნენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების თაყვანისმცემლები.

იუბილესადმი მიძღვნილი გამოსვლების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბორჯომის კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები, პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი, მოეწყო სპორტული შეჯიბრებები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ზეიმის დროს.
Თ. ᲜᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმი).

„ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲡᲣᲚᲘ“

ᲔᲡ ფერადი სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელსაც დღეს პირველად იხილავს მაყურებელი, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია „შემატიანეში“ შეიქმნა დიდი ილიას საიუბილეოდ.

დიახ, ფილმი დოკუმენტურია, და ამდენად, მის მკაცრ ლოგიკასვე უნდა ემორჩილებოდეს ყოველივე, მაგრამ ავტორები პირველი კადრიდანვე უარს ამბობენ ამ დოგმაზე და... მაყურებელიც თავისუფალია.

თავისუფალი იმდენად, რამდენადაც იგი თვით ფილმის გმირის თანამგზავრია, მაგრამ ესეც პირობითია, რადგანაც მთელი ფილმის განმავლობაში მისი თანამდევი უკვდავი სული.

და როდენ ადამიანებს ამ უკვდავებას ილიასავე სიტყვები, დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების გამო რომ ალმობდა გულიდან: „...კაცი მოკვდა ან მოკულს!.. რა იშვიათი ამბავი ეს არის... ადამიანი სიკვდილის შვილია, და თუ გინმე კვდება, თუნდა სხვისს ხელითაც — აქ რა არის უცნაური და საკვირველი?

ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღვწის, მაგრამ ყოველ კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფელად ყოველს კაცს ვერ გაუერთია. ამ გაერთიანებისათვის დიდი ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა“...

ამგვარი ხიდის გადება კი თვით ილიამ შეძლო აწმყოსა და მყოფად შორის, სიკვდილსა და უკვდავებას შორის, და ეს ფილმის თითოეულ კადრსა თუ ქვეტექსტშიც იკითხება.

სცენარის ავტორებმა — ბორის კანდელაკმა და შერგილ შონიამ იმთავითვე სწორი არჩევანი გააკეთეს — ერთ დასრულებულ ნაწარმოებად ჩაფიქრეს მთელი სიუჟეტი და, ყოველივე ამას დაუქვემდებარეს.

რეჟისორებმა შერგილ შონიამ და ზურაბ შანიძემ საბოლოოდ ახალგაზრდა მახიობებს ლევან უჩანეიშვილსა და ეროკლე კუხიანიძეს ანდეს ილიას განსახიერება და არც შემცდარან. ლევანი ზედმიწევნით გვიცოცხლებს ახალგაზრდა ილიას, რომელიც ეს-ესაა დაბრუნებულა პეტერბურგიდან და „ერთის საფიქრალით აღნთები გული და გონებაᲗ, რით უმეტესს ეხმიანება წყალული. საშველი კი იმდენი აქვს მის თანამედროვე ქართველობას, რომ!..

ზაყანი — ეროკლე კუხიანიძე, რომელიც ერთდროულად ილიაც არის და ტექსტის მხატვრული ზამკითხველიც, ჩინებულად ართმევს თავს ამ უადრესად რთულ ამოცანას.

მაყურებელი უთუოდ კმაყოფილი დარჩება ელდარ ვაზღაძისა და თემურაზ ჯოხონელიძის ოპერატორული ნამუშევრით. ეს მათი დამსახურებაა.

ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია კომპოზიტორ ვახტანგ კუხიანიძის მუსიკა, სამეულის მხატვრობა და ხმის ოპერატორის გიორგი ლომიძის ნამუშევარი. მადლობა გვეთქმის ფილმის ლიტერატურული კონსულტანტის, კრიტიკოს აკაკი ბაქრაძის მისამართითაც.

მოკლედ, ფილმი მრავალ საფიქრალს აღგვიძრავს, და ხმა ილიასეულია: „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა“... ბოლო კადრამდე რომ ღარადებს, წუთითაც არ გვავიწყებს — ეს ღმერთკაცი, რომელიც „ვერც ბედნიერებამ წაიტყინა და ვერც უბედურებამ დაიტყვეეა“. მარად და ყველგან ჩვენი თანამედროვეა.

Ლ. ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ.

ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲪᲓᲐ არ დააკლეს და გამომცემლობა „ხელოვნებისა“ და ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშაკებმა სწორედ ამ დღეებში მოასწრეს შესანიშნავი საჩუქრის — „ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება)“ გამოშვება. ცხადია, ყველაზე მეტად მაინც წიგნის ავტორი გურამ შარაძე გარჯილა, მას ორ ნაწილად ჩაუფიქრებია ნაშრომი, და აი, პირველი ნაწილი, რომელიც მოიცავს 1837-1885 წლებს — დიდი მწერლისა და მოაზროვნის მიერ განვლილ ცხოვრების გზას ბავშვობიდან ვიდრე „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებამდე, უკვე ჩვენს ხელთ არის.

აღსანიშნავია წიგნის მაღალი პოლიგრაფიული დონე (მხატვარი — ოლღა გორალეკიანი, რედაქციის გამგე — როსტომ თიგიძვილი, ტექნიკური რედაქტორი — გიორგი დონაძე, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორი — ცეზარ ხაზარაძე).

წიგნის ტირაჟია 20.000 ეგზემპლარი.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘ

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝᲐ საღამოს საწყისივე სიტუაცია. უჩვეულოა სადღესასწაულო, წარსულში კი სწორედ ასე იკრიბებოდნენ ქართველი ინტელექტუალები თავიანთი ჭირვარამის გასაზიარებლად. სადა და გემოვნებით მოწყობილი კარ-მიდამო გულახდილობის ატმოსფეროს ქმნიდა. იკითხებოდა პოეტური შედევრები, ისმენდნენ მუსიკას, იმართებოდა სჯა-ბაასი, იყო სულის ცხოვრება. აი ასეთ გარემოში მოხდებით დღეს თუ „დარეჯანის სასახლეს“ ეწვევით, სადაც წარმოადგენენ აკაკი ბაქრაძისა და კოტე მახარაძის სპექტაკლ-მონოლოგს — „რაც მტრობას დაუნგრეყია...“

კოტე მახარაძის თაოსნობით და კულტურის სამინისტროს თანადგომით გაცოცხლდა უყურადღებოდ მიტოვებული სახლკარი. საჩინოს ეკლესია დიდ სატკივარზე სასაუბრო ტაძრად იქცა. არაფერი ზარ-ზეიმური აქ არ არის. ყველაფერი სადაა და „ფიქრთ გასართველად“ მოწყობილი. ეზოშივე გეუფლებათ რაღაც უჩვეულო, თითქოს არათეატრალური. მაგრამ ჩვეულებრივი ცხოვრებიდან მაინც გამოყოფილი სინამდვილის შეგრძნება. ერთსა და იმავე დროს წარსულის სუნთქვასაც ვგრძნობთ და თანამედროვეობის რიტმსაც. გაჩირაღდნებულ ქალაქს ხედავთ სამ განზომილებაში: ზემოთაც, პირდაპირ და ქვემოთაც. დიდი და ვრცელი სამყარო იშლება წინ, თქვენ კი თითქოს პატარა კუნძულივით თუ გემივით ხართ, მაგრამ მთელი არსებით დაკავშირებული ერთ მთლიანსა და განუყოფელ სინამდვილესთან. აქ ერთმანეთს ერწყმის ძველი და ახალი თბილისი. წარსულისა და თანამედროვეობის გრძნობას აერთიანებს მსახიობი, ქმნის თავისებურ სინთეზს. ფრესკები, სხლტები, ძველი ჟურნალ-გაზეთები, ქორაღები, ყველაფერი, სადაც მსახიობის დრამატული მონოლოგი უნდა შედგეს, სიძველეა, რომელიც ფოხად ედება თითქოსდა ძველსავე თემას, მაგრამ ლიტერატურული მასალის შერჩევის პრინციპი, მისი გაზარება და კოტე მახარაძის გამორჩეულად ძლაფრი პოზიცია ყველაფერს სადღეისო მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წარმოთქმულ მონოლოგზე.

მონოლოგი კი მართლაც უჩვეულოა თავისი ხანგრძლივობითაც, მასშტაბითაც და სტრუქტურითაც. იგი ორსაათ-ნახევარს გრძელდება შეუსვენებლად. მსახიობის ფენომენალურ მეხსიერებას ზუსტად შემოუნახავს ილიას უმდიდრესი მემკვიდრეობა და მასზე თქმული. ყველაფერი გაუაზრებია და ერთ მთლიან მხატვრულ სისტემაში მოუქცევია. აქ ერთმანეთს ერწყმის და ენივთება პოლიტიკური და სოციალური, ეკონომიკური და საგანმანათლებო, პიროვნული და საზოგადოებრივი, პოეტური და პროზაული — ყველაფერი, რაც ილიას სახელთან არის დაკავშირებული. კოტე მახარაძე დახვეწილი არტისტული გამომსახველობით, აქცენტების გადაადგილებითა და რიტმული მონაცვლეობით ქმნის დინამიკურ მრავალფეროვნებას, აღძრავს შეუნელებელ ინტერესს. აქ ილია ჭავჭავაძის ბედი იმდენად ფართო პლანით იაზრება, რომ იგი სცილდება კიდეც კონკრეტულად ერთი ადამიანის საზღვრებს და საერთოდ ქართველი ხალხის სატკივარსა და საფიქრალს ეხება.

ვინც ქრისტესავით ეწამა, ის უნდა აღსდგეს კიდეც! — ეს არის კოტე მახარაძის დრამატული მონოლოგის არსი, მაგრამ არა

ყველაფერი. იგი ერთბაშად მრავალ კითხვას სვამს ჩვენ წინაშე, სწორედ ჩვენ, ქართველების წინაშე: რატომ უნდა ეწამონ ერისთვის თავდადებულნი? რას გვასწავლის ისტორიის გაკვეთილები? რისთვის მოგვიწოდებს დღეს ილიას სახელი?

კოტე მახარაძეს თავისი ფართო ეუფლებიით თანდათან შეეყვავართ საუკუნის პოლიტიკურ და სოციალურ ატმოსფეროში, ეგრძნობთ მის ენებათაღლვას, სულიერ დრამატიზმს. სამყარო, რომელშიც ილია ცხოვრობდა და რომელსაც თავად ქმნიდა, აღსავსე იყო ეპოქალური ქარტეხილებით, უმძაფრესი ბრძოლებით.

კოტე მახარაძემ შეძლო გადმოეცა თუ როგორ ქმნიდა, ანახლებდა და ამძლავრებდა საქართველოს ილია. როგორი ტკივილით, ტანჯვით ამკვიდრებდა ეროვნულ თვითშეგნებას. ეს იყო უძნეესი გზა — გზა გოლგოთისებური. თითქოს ფეხდაფეხ მიჰყვება მსმენელი ამ გზას. თავადაც განიცდის მის ტრაგიზმს. ეს ზნეობრივი განწმენდისა და ზიარების პროცესია და აქ განსაკუთრებულია მსახიობის ოსტატობა. თავის ფიქრსა და გრძნობას, თავის სიტყვასა და სატკივარს მიაჯაჭვა მაყურებელი და იგი წამიერადაც არ გამოთიშვია შემოქმედებითი თანაზიარობის ამ ურთულეს პროცესს. ფართოა მსახიობის თვალსაწიერი. მისი ხედვის არეშია მოქცეული არა მარტო ცალკეული ადამიანები, არამედ თვით ეპოქა მთელი თავისი სირთულით. ყველაფერი კი ილიას სახელთან მიმართებაშია წარმოდგენილი. აქ მასშტაბურობა უფრო მეტადაც განიცდება, რადგან იგი იშლება ეკლესიის ინტიმურ ატმოსფეროში. ეს მომენტი მას მეტ სითბოსა და სულიერ ამაღლებულობას ანიჭებს. დროდადრო ეოკალური ანსამბლის („სამება“) სიმღერა ემოციურად ამძაფრებს სიტუაციას, აქცენტი გადააქვს ილიას ცხოვრების რთულ მომენტებზე.

კოტე მახარაძის სცენურ ნაზარევში ილია მრავალი პლანით არის წარმოდგენილი. მსახიობი არსად არ არბილებს სიტუაციებს, არ ალამაზებს ბიოგრაფიას. იგი ისეთია, როგორიც იყო სინამდვილეში. ამიტომ ცოცხლად წარმოგვიდგება ილია. მდიდარია კოტე მახარაძის სცენური საშუალებები. იგი მიმართავს ხან მხატვრულ კითხვას, ხან უბრალო საუბრის ტონს, ხან პუბლიცისტურ მგზნებარებას, მკვეთრ რიტმულ მონაცვლეობებს, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებს სისადავეს და ეს განსაკუთრებით შეეხინ ილიას სახელს, მთელ მის სააზროვნო სისტემას. მთლიანობაში კი ეს არის ერთი მსახიობის მონოლოგი დიდი ილიას ბედზე. ამ გზით შეიგრძნობა მთელი ეპოქის დრამატიზმიც.

ასევე ფართოდ გამოხატა მახარაძემ ილიას სამყარო. მან გვაჩუქა სულიერი ცხოვრების ორსაათ-ნახევარი, რომელიც სავსეა სიხარულითა და ტკივილით, სინანულითა და სევდით. ამ წუთებში მაყურებელი მსახიობთან ერთად ფიქრობს, აზროვნებს, განიცდის. ერთი მსახიობი დგას ჩვენ წინაშე, ცენტრში ერთი სკამია, უკან კედელთან წითელი ნაჭერი — თითქოს დაღვრილი სისხლი. არაფერი ზედმეტი. დგას ელვანტური მსახიობი ოდნავ ამაღლებულ სასცენო მოედანზე და ჩვენ თვალწინ იწყებს უბრალო თხრობას დიდ ამბებზე. რაც უფრო მეტსა და საოცარ ამბებს ჰყვება, თითქოს მით უფრო ტყდება შინაგანად; ხმაშიც მეტი დრამატული ინტონაციები ჩნდება.

შემეცნებითად მნიშვნელოვანი, ესთეტიკურად ამაღლებული საღამო სათავეს უდებს ახალ კულტურულ ეპოქას.

ბევრჯერ გამხდარა ქართული თეატრის საფიქრალი ილიას თემა. არაერთხელ დაიდგა მისი ნაწარმოებები, დაიწერა პიესები ილიაზე. თითქოს ქართული თეატრი ვალში არ დარჩენია ილიას, მაგრამ საძიებელი კვლავ ბევრია. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, როცა ტრადიციული წარმოდგენების გვერდით ჩნდება ახალი მხატვრული სინამდვილე, რომელიც ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ილიას სამყაროზე. ასეთია კოტე მახარაძის თეატრის ერთი საღამო, რომელიც მან ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს მიუძღვნა. ილიას სახელით დაიღოცა ერთი მსახიობის თეატრის გზა და უნდა მოველოდეთ, რომ იგი ილიასავე ნაკვალევს გაჰყვება მომავალშიც.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲙᲘᲠᲙᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ■ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ■ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ერისათვის ძვირფასია თავის გამორჩეულ შვილთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა, გენიალური ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲓᲐ

ამ დღეებში წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანს ეწვევნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. თავხელიძე და აკადემიის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, მათ სახლ-მუზეუმს გადასცეს ნიკო ფიროსმანაშვილის ორი ნამუშევარი — თამარ მეფის და შოთა რუსთაველის პორტრეტები, რომლებიც დღემდე ინახებოდა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში.

▼▼

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲘ ᲢᲔᲜᲝᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ერთ საღამოს გამოვიდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე სახელმოხვეჭილი ტენორი, ბუქარესტის საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტი კონსტანტინ ეხე.

ვერდის ოპერა „ტრუბადურში“ სტუმარს ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს მედეა ამირანაშვილმა (ლეონორა), ელდარ გეწაძემ (გრაფი დი ლუნა) და თამარ გურგენიძემ (აზუჩენა).

▼▼

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗ ᲡᲘᲣᲠᲠᲘᲖᲘᲗ ᲔᲚᲚᲘᲗ, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მალე

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ეს არის სერგი პროკოფიევის ბალეტი „გერია“, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ კვლავ უბრუნდება ქართულ სცენას.

— რვა წლის წინათ „გერია“ დავდგი ოპერის სცენაზე, — ამბობს დამდგმელი რეჟისორი, თეატრის მთავარი ბალეტმაისტერი გ. ალექსიძე, — მაგრამ ეს სპექტაკლი რამდენადმე უჩვეულოა. იგი ცნობილი ბალეტის ახალი სასცენო ვერსიაა, რომელიც თეატრის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. მელიავას ეკუთვნის.

▼▼

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲛᲫᲔᲕᲠᲛᲪᲧᲣᲚᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲕᲘᲓᲒᲔᲜᲘᲐ. ᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ᲪᲮᲠᲐ ᲗᲕᲔᲨᲘ 482 კაცი დაიღუპა და ორი ათასამდე მძიმედ დაშავდა საკაზო-სატრანსპორტო შემთხვევათა გამო ჩვენს რესპუბლიკაში.

ᲡᲘᲤᲮᲘᲖᲚᲔ ᲒᲕᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ!

რამდენგზის მოგვისმენია ეს ორი სიტყვა, რომელთა ქვეტექსტად ათასობით სიტყვაც კი არ გვეყოფოდა. მაგრამ რა, კვლავ ვარღვევთ გზებზე მოძრაობის წესებს. ნასვამიც კი ვზივართ საჭესთან და საფრთხეში ვაგდებთ საკუთარ თავსაც და სხვათა სიცოცხლესაც. განა ერთი და ორია ამის მაგალითი? აი უახლესი ინფორმაციებიც:

ᲒᲝᲠᲘᲡ სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილი ავტობუსი მორიგ რეისს ასრულებდა. სოფელ ბერბუკთან მძღოლმა კ. აბუაშვილმა უცებ გზიდან გადაუხვია და ელექტროქესქის ბოძს დაეჯახა. ავტობუსი გადაბრუნდა, დაშავებული მგზავრები საავადმყოფოში მიიყვანეს...

ᲒᲐᲣᲜᲐᲗᲔᲑᲔᲚ ტრასაზე თავაწყვეტილი მიაქანებდა „ეიგულს“ მცხეთის ტექმომსახურების სადგურის მეთუნუქე გ. ახვლედიანი. სოფელ წეროვანთან მანქანა გზიდან გადავიდა და შემხვედრ ავტომობილს შეასკდა. დაღუპა ხუთი კაცი, ერთიც მძიმედ დაშავდა. დაღუპულთაგან ყველაზე უფროსი 31 წლისა იყო, დანარჩენები კი 24-25 წლისანი.

გაირკვა, რომ ახვლედიანი იმ დღეს ორ ქორწილში ყოფილა სოფელ აღაიანში. ორივეგან გულუხვად გამასპინძლებიან მას, და სავალალო შედეგმაც არ დააყოვნა.

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲐ Გ. ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ჩვენმა მკითხველებმა იციან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით თბილისს მიენიჭა საპატიო წოდება „ქალაქი — მშვიდობის დესპანი“. რით დაიმსახურა იგი ჩვენმა დედაქალაქმა? ამის თაობაზე მკითხველებს ესაუბრება საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ მთელ რიგ სხვა ქალაქებთან ერთად თბილისს ესოდენ დიდი პატივი მიეგო მშვიდობის საერთაშორისო წლის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის, რომელიც უკანასკნელ წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხაზით გამართულ უდიდეს საერთაშორისო სამშვიდობო კამპანიის წარმოადგენდა.

1986 წელს თბილისში „მშვიდობის წლის“ ფარგლებში გამართული უმთავრესი აქცია გახლდათ, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია განიარაღების საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მთავრობათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები: კონფერენციის წითელ ზოლად გასდევდა ბოლო წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის ახალი ტენდენცია — მშვიდობისათვის ბრძოლაში მთავრობათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თანამშრომლობის გზების ძიება, პოლიტიკურ მიმართულებათა განსაზღვრისათვის თანამედროვე საყოველთაო ომისაწინააღმდეგო მოძრაობის იდეებისა და გამოცდილების გათვალისწინება. ამ მიზანმა განსაზღვრა კონფერენციის სტრუქტურაც — მის მუშაობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობათა ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად ომისსაწინააღმდეგო, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ფართო მონაწილეობა. საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტი მშვიდობის საბჭოთა კომიტეტთან ერთად იყო კონფერენციის მთავარი მასპინძელი და მისი ერთ-ერთი მონაწილე.

უნდა გავიხსენოთ აგრეთვე „მშვიდობის წლის“ ფარგლებში საქართველოში გამართული სხვა მრავალრიცხოვანი და შინაარსიანი აქციები, ვინაიდან რესპუბლიკის დედაქალაქისათვის საპატიო წოდების მინიჭებით გამოხატული მადლობა ეკუთვნის ყველას, ვინც დღეს თავისი შრომითა და შემოქმედებით გამოხატავს ჩვენი ხალხის სამშვიდობო ნებას: მუშებსა და კოლმეურნეებს, კულტურის მუშაკებს, სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას, ყველას, ვისაც მშვიდობის ვახტებში, თეატრალურ თუ მუსიკალურ ფესტივალებში, გამოფენებსა თუ შრომითს სემესტრებში მონაწილეობით თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშვიდობისათვის ხალხთა საყოველთაო ბრძოლაში.

დღეს, როდესაც რეალურად ისახება განიარაღების თაობაზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეთანხმების შესაძლებლობა, ომისსაწინააღმდეგო ბრძოლა ახალი ძალით ჩაღდება. უახლოესი მსოფლიო სამშვიდობო კამპანიაა განიარაღებისათვის ბრძოლის ტრადიციული კვირეული, რომელიც დაიწყება 24 ოქტომბერს— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღეს. იგი წლეულს დაიწყება თავისებური „მშვიდობის ტალღით“, რომელსაც დასაბამს მისცემს სამშვიდობო მანიფესტაცია ჰიროსიმაში 24 ოქტომბერს დღის 12 საათზე. ტალღა აგორდება დასავლეთის ზმამართულებით, გაიშლება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში, სადაც იმავე დღეს და იმავე საათს ადგილობრივი დროით ადამიანები სხვადასხვა აქციით გამოხატავენ თავიანთ სამშვიდობო მისწრაფებას. ამით დაიწყება განიარაღებისათვის ბრძოლის საერთაშორისო კვირეული, რომელსაც ხმას შეუერთებს თბილისი — მშვიდობის დესპანი, მთელი ჩვენი რესპუბლიკა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲝᲑᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲐᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ᲠᲝᲪᲐ მოჭადრაკე რომელმე სადებიუტო ვარიანტში მძიმე მარცხს განიცდის, იგი მასზე, ჩვეულებრივ, გარკვეული ხნით ხელს იღებს ხოლმე. იწყება ამ უკუგდებული სადებიუტო სისტემის საფუძვლიანი „შეკეთება“. ამჯერად სხვანაირად მოხდა. კასპაროვმა და მისმა თანაშემწეებმა ისე სასწრაფოდ გადაანალისეს თითქოსდა „წყალწაღებული“ ვარიანტი, რომ უკვე მეოთხე პარტიაში ისევ გამოიყენეს იგი. ეს კარპოვისთვის დიდი სიურპრიზი იყო.

ჩვენ არ ვიცით, რა მიმართულებით წარიმართა კასპაროვისა და მისი სეკუნდანტების ანალიზური მუშაობა, რადგან ფრთხილმა კარპოვმა პირველმა გადაუხვია მეორე პარტიას. დებიუტის შედეგად მეოთხე პარტიაში მსოფლიო ჩემპიონმა დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღო. მან მეფის ფრთაზე ორივე ეტლი განლაგა და მალე ბრძოლის ამ უბანზე ლაზიერიც გადაისროლა. „დგანან და ელიან“ — ასე შეიძლება ეწოდოს შავების განლაგებას და, საერთოდ, კარპოვის შემდგომ ტაქტიკასაც. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შექმნილ პოზიციაში მას სხვაგვარი მოქმედების არავითარი საშუალება არ ჰქონდა, თანაც ახლოდებოდა ორმხრივი მწვავე ციტრტი. მაგრამ თუ დროის სიმცირის პირობებში, კასპაროვს თამაშის გაგრძელების ნათელი გეგმა ჰქონდა, ექსჩემპიონს მრავალი თავსატეხი გამოუჩნდა.

ლაზიერების გაცვლას კარპოვის პოზიცია არ შეუშლუბუქებია. კასპაროვი ეტლით შეიჭრა მეტოქის განლაგებაში, მოიგო პაიკი, შემდეგ მეორეც. მატერიალური უპირატესობის რეალიზაცია არავითარ სიძნელესთან არ იყო დაკავშირებული. საჭირო იყო მხოლოდ განაპირა პაიკის წინ წაწევა, რომელიც თავის მხრივ კუთი იყო გაბაგრებული. თუმცა 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო, მაგრამ სპეციალისტები ერთხმად მიიჩნევდნენ, რომ ბრძოლა აღარ განახლდებოდა.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ
ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

1. c4 ᲫᲒ6 2. ᲫᲒ3 e5 3. ᲫᲒ3 ᲫᲒ6 4. g3 ᲒᲑ4 5. ᲒᲒ2 0-0 6. 0-0 e4 7. ᲫᲒ5 Გ:c3 8. bc ᲓᲔ8 9. f3 ef 10. Ძ:f3 ᲚᲔ7 11. e3 ᲫᲔ5 12. ᲫᲓ4 ᲫᲓ8 13. ᲚᲔ2 Ძ:c1 14. ᲓᲐ:c1 d6 15. f4 c6 16. ᲓᲪf1 ᲚᲔ5 17. ᲚᲓ8 ᲒᲓ7 18. ᲫᲒ5 Გ:f5 19. Დ:f5 ᲚᲔ6 20. ᲚᲓ4 ᲓᲔ7 21. ᲚᲗ4 ᲫᲓ7 22. ᲒᲗ3 ᲫᲒ8 23. ᲓᲒ5 ᲚᲔ5 24. d4 ᲚᲔ4 25. Ლ:e4 Დ:e4 26. Დ:f7 Დ:e3 27. d5 ᲓᲐᲔᲒ5 28. Დ:b7 cd 29. cd ᲓᲔ7 30. Ცfb1 h5 31. a4 g5 32. ᲒᲒ5 ᲫᲒ7 33. a5 ᲫᲒ6 34. ᲒᲓ3 Დ:b7 35. Დ:b7 ᲓᲔ8 36. ᲒᲑ5 Დ:c3 37. Დ:a7 ᲫᲒ6 38. ᲓᲓ7 ᲫᲔ5 39. Დ:d6+ ᲫᲒᲒ5 40. a6 ᲓᲐ3 ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲒᲝ.

გუშინ თამაშის განუახლებლად კარპოვმა თავი დამარცხებულად სცნო და მატჩის ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐ

17-18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ თბილისის იპოდრომზე გაიმართა ცხენოსანთა საკავშირო ასპარეზობის პირველი ორდღიური. გახსნის აღლუმს უძღოდა უხუცესი ცხენოსანი, გადამდგარი გვარდიის პოლკოვნიკი გიორგი გამზარდია, ხოლო ასპარეზობის დროშა აღმართა საქართველოს ნაკრების გუნდის ვეტერანმა, მრავალმხრივმა მხედარმა, სპორტის ოსტატმა ოთარ ჯაფარიძემ. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ შეჯიბრება ამართლებს მრავალრიცხოვანი მაყურებლის მოლოდინს — პროგრამის მრავალფეროვნება, სადოღე, მარბოლარი და სპორტული ცხენების მაღალი კლასი, მხედრების ოსტატობა, ეროვნული თამაშების უჩვეულობა და დინამიზმი გულგრილს არაევის ტოვებს.

მშვენიერი დოღი გამოდგა მშვიდობის პრიზზე (1000 მ, ინგლისური ცხენები). ფინიში პირველმა გადაკვეთა ბესლანის ცხენსაშენის 4 წლის ქურანა (ფაატმა „გასტილდამ“ (ეოკეი ა. პავლოვი). გამარჯვებულის დროა 1 წუთი. ასეთივე მაღალი შედეგი ჰქონდათ II და III ადგილებზე გამოსულ „დიორამას“ (მ. პეტრიაკოვი, ყაბარდოს ცხენსაშენი) და „კერამიკს“ (ს. პანტიუხოვი, დნეპროპეტროვსკის ცხენსაშენი).

შარშან ცრასნოდარში გამართულ ანალოგიურ შეჯიბრებაზე საქართველოს გუნდმა ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა, რამელიც თავის მხრივ კუთი იყო გაბაგრებული. ამჯერად ეს ადგილი ეწოდოთ ბაგების განლაგებას და, საერთოდ, კარპოვის შემდგომ ტაქტიკასაც. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შექმნილ პოზიციაში მას სხვაგვარი მოქმედების არავითარი საშუალება არ ჰქონდა, თანაც ახლოდებოდა ორმხრივი მწვავე ციტრტი. მაგრამ თუ დროის სიმცირის პირობებში, კასპაროვს თამაშის გაგრძელების ნათელი გეგმა ჰქონდა, ექსჩემპიონს მრავალი თავსატეხი გამოუჩნდა.

ლაზიერების გაცვლას კარპოვის პოზიცია არ შეუშლუბუქებია. კასპაროვი ეტლით შეიჭრა მეტოქის განლაგებაში, მოიგო პაიკი, შემდეგ მეორეც. მატერიალური უპირატესობის რეალი